№ 3026
სამშაბათი,
14 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3026
სამშაბათი,
14 მარტი

ზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს
„ცნობის ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით **6** მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით **11** მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომელთა მხატვართ ოსკარ შმერლინგისა და ვოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, პერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

მეუღლე და შვილები ახლად გადაცვალებულის **მის უმაღლესობის კონსტანტინე პეტრეს ძის ოლდენბურგსკისა** გულწრფელსა და ღრმეს მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც მათ სამძიმარი გამოუცხადა მძიმე მწუხარების გამო. (ნ. 1—1)

11 მარტს გარდაიცვალა

ალექსანდრე იაგორის ძე ფითოევი,

რასაც განსვენებულის შვილები ელისაბედ შოლცე, ნატალია ზაქარიან, სოფიო ბერენბეკ და გიორგი ფითოევი და სიძეები ზაქარია გრიგოლის ძე ზაქარიანი და პავლე პეტრეს ძე ბერენბეკი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

გვამს გამოასვენებენ სამშაბათს, 14 მარტს, დილის 10 საათზე, თავის ბინიდან (პასკევიჩის ქუჩა, № 12) მოღნინის ეკკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—1)

ნინო იაგორის ასული ტერ-მიკირტიჩიანცი, კონსტანტინე და ივანე იაგორის ძენი ფითოევები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათის ძმის

ალექსანდრე იაგორის ძის ფითოევისას.

გამოსვენება სამშაბათს, 14 მარტს, დილის 10 საათზე, საკუთარის ბინიდან (პასკევიჩის ქ., № 12) მოღნინის ეკკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე.

„ის. იაგ. ფითოევისა და ამხ."-ის სავაჭრო სახლის წევრები იუწყებიან ფირმის მეთაურის

ალექსანდრე იაგორის ძის ფითოევის

გარდაცვალების შესახებ. გამოსვენება სამშაბათს, 14 მარტს, დილის 10 საათზე განსვენებულის ბინიდან (პასკევიჩის სახლი, № 12), მოღნინის ეკკლესიაში. დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—1)

„ის. იაგ. ფითოევისა და ამხ."-ის სავაჭრო სახლის მეთაურის

ალექსანდრე იაგორის ძის ფითოევის

დაკრძალვის დღეს, სამშაბათს, 14 მარტს, სავაჭრო სახლის მთავარი კანტორა დახურული იქნება. (1—1)

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,
ა. ი. ედიგაროვი, იწვევს გორის მაზრის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ ამა წლის 18 მარტს, დილის 11 საათზე, ქალაქ ტფილისს, თავ.-აზნ. დეპუტატების საკრებულოს სადგომში და თან წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტები ცენზის შესახებ (გაჩიჯვნის საბუთებით, ნასყიდობის აქტით და სხვა საბუთებით) მიწის მფლობელობის შესახებ), რათა გასწორდეს სიები მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ხმის უფლება აქვთ მომავალ სათავად-აზნაურო მორიგ კრებაზე. (ნ. 3—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(დაარსებულია 1880 წელს)
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ბ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. გ. ამეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზოლიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. ჰ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ბ. ი. მურზინოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუხინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. მ. ახიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана [illegible], противъ памятника Воронцова. (წლ.)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ. (სიფილისის და ტყავის ავადმყოფობაი.
ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ამეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ხეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო ოთახს და ცალკე ოთახებს. (150—54)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა.

დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია, სემენოვსკის ქუჩა, № 20 (თვ.—6)

ივერია

5 მარტიდან გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად

შინაარსი:

№ 1. საქართველოს აკლება, ფ. გოგიჩაიშვილისა.—ღამე, ლექსი ი. ევდოშვილისა.—დღევანდელი ვითარება, სტუმრისა.—შავი დღეები, კ. ა—ისა.—გაკვრით, მოყვრისა.—რუსეთის ცხოვრება დეკემბრიდან დღემდის, ა—სა.—ეროვნული საკითხი ავსტრიაში, მ. ად—ლისა.—„შილიონის პატიმარის" მიბაძვა, ტანისა, თარგ. დ. თომაშვილისა.—საკვირაო, ი. ევდოშვილისა.—დედაკაცი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნ. ტ—ისა.

№ 2. ბოიკოტი?—„ლომების" ბანაკში, ფ. გოგიჩაიშვილისა.—ძმობაც ასეთი უნდა, კ. ა—სი.—პროლეტარიატის დიქტატურა, ა. იზგოევისა.—თანამედროვე ვითარება, სტუმრისა.—ჰაინრიხ ჰეინე, არტურ ლეიტსისა.—სახელმწიფო დაზღვევა მუშებისა გერმანიაში, ა—ისა.—მომხმარებელი ამხანაგობა, ნ. ტ—ისა. ნამუს ახდილი, ვ. შალიკაშვილისა.

ფასი წლის ბოლომდის 3 მან., ცალკე ნომერი — 10 კაპ. (2—1)

თანახმად 17 ოქტომბრის 1905 წლის სახელმძღვანელოს მე-6 მუხლისა, რომელიც განმარტავს იმ პირთა სიების შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ამით ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც 11 დეკემბრის 1905 წლის უმაღლესის უკაზით მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა გორის მაზრის მიწათ-მფლობელთა ყრილობაში, ე. ი. იმ მიწის მოიჯარადრეებს და მოურავებს მამულებისა, რომელთა ზედაც დადებულია სახელმწიფო საერობო გადასახადი (ზემსკი სბორი) არა ნაკლებ 15 მანეთისა წელიწადში და რომელნიც, მასთან ერთად, მოიჯარადრობენ ანუ მოურავობენ მამულს არა ნაკლებ ერთის წლისა, რომ იგინი იქნებიან შეტანილნი და აღნიშნულნი საარჩევნო სიებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებენ პირადათ, ანუ წერილობით თავიანთს სურვილს არჩევნებში მიღებისას. თავიანთის უფლების დასამტკიცებლად, აღნიშნულნი პირნი მოვალენი არიან წარმოადგინონ: მოიჯარადრეებმა—პირობის წერილები და და მოურავეებმა—აგრეთვე პირობის წერილები ანუ ვექილობანი მამულის მოურავობისა (მე-7 მუხლი სახელმძღვანელოსი). პირობის წერილები და ვექილობა შეიძლება იქნას წარმოდგენილი როგორც ასლნი, ისე მათი პირები, შემოწმებული ან ნოტარიუსის, ან პოლიციის მოხელის ანუ მომრიგებელ მოსამართლის მიერ. ზემოხსენებული განცხადებანი მიიღება გორის სამაზრო პოლიციის სამმართველოში ოცდა-ოთხ მარტამდე ამა 1906 წ. და თვით ამ უკანასკნელ დღესაც.

გორის მაზრის უფროსი **კაპიტანი ლეონტიევი.** (ნ. 3—1)

ტფ. ქალაქის გამგეობის
განცხადება

რადგან ამჟამად ქალაქში 2000 მეეზოვეზე მეტიც არის, რომელთა მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ღამით დარაჯობა და ქუჩა-ეზოების სუფთად შენახვა, ამიტომ სახლის პატრონთ და მათ მოურავთ ან მოიჯარადრეთ სრული შეძლება აქვთ ეზოებიცა და ქუჩებიც დაასუფთაონ ხოლმე და სისუფთავე მუდამ შეინახონ, რაც მათ ევე მოვალეობას შეადგენს, თანახმად 1898 წ. 5 ივნ. სავალდებულო დადგენილებებისა. ამიტომ ქალაქის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა სახლის პატრონთ, ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური ქუჩებისა და ეზოების სისუფთავეს და თან აფრთხილებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის გებაში მისცემს ყველა იმათ, ვინც ამ სავალდ. დადგენილებათ დაარღვევს. ეზოებისა და ქუჩების სისუფთავე ახლა ძალიან საჭიროა, რადგან დათბა და მოსალოდნელია სხვა და სხვა გადამდებ სენის გავრცელება. ამასთანავე გამგეობა მოაგონებს სახლის პატრონთ, რომ ქუჩის დაგვა სასტიკად აკრძალულია ღამის 12 საათამდე და დილის 8 საათიდან, ხოლო ნაგვის გადაყრა ნებადართულია მხოლოდ დანიშნულს ადგილებში. ყველა ცნობები, რომელიც შეეხება ამ სავალდებ. დადგენილებათ და, საზოგადოთ, ქუჩა-ეზოს დაწმენდის საქმეს, შეუძლიათ მსურველებმა მიიღონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში რწმუნებულებისაგან (ასსენიზაციის ნაწილი). (ნ. 2—1)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—ნ.—47)

ქალაქის გამგეობა

იწვევს ყველა სახლის პატრონთ „ვაკეს" უბნისას, რომელთაც ჰსურთ თავიანთი ადგილები ქალაქის საზღვრებში მოაქციონ გამგეობის პირობების თანახმად, მიბრძანდნენ ტფ. სათავად-აზნ. გიმნაზიის შენობაში (იქვე, ვერაზე), სადაც ყოველ დღე, ერთის კვირის განმავლობაში, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5-მდე, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი ბ-ნი ფურცელაძე ჩამოართმევს აღნიშნულ სახლის პატრონთ ხელწერილს მათს თანხმობაზე. (ნ. 2—1)

ზონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, ამა წლის 26 მარტს, დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. დამტკიცება 1905 წლის ანგარიშისა;
2. არჩევანი საბჭოს სამის წევრისა, გამგეობის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა, მათის კანდიდატებით, ნაცვლად ვადა გასულთა.
3. არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება.
4. დამტკიცება 1906 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა. (ნ 2—1)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,
რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—21)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. გეთანოვი
იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკაზის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—31.—13)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. (14—კვ.—11)

ტფილისი, 14 მარტი.

კომედიის მესამე მოქმედება. უკვე აღვნიშნეთ, თუ რა საოცარ ხრიკებს ხმარობს ბიუროკრატია, რომ არჩევნების დროს მარტო თავისი მომხრენი გაიყვანოს. უნდა გამოვტყდეთ, თუმცა ბიუროკრატიისაგან, მეტადრე „დამამშვიდებელ" გმირობის შემდეგ, კარგს არას მოველოდით, მაგრამ არჩევნების საქმეში მან მოლოდინსაც გადააჭარბა. ისეთ ახდილ და აშკარა მოქმედებას, როგორსაც მთავრობა დაადგა, სწორედ ვერ წარმოვიდგენდით. აქამდის მხოლოდ ხრიკებზე გვქონდა ლაპარაკი, თუმცა ეს ხრიკები იგივ ძალმომრეობა იყო; ეხლა კი ბიუროკრატიის მოქმედებას მარტო ძალმომრეობა ჰქვიან და ხრიკების სახელი აღარ შეჰფერის. აქამდის, როდესაც მოსალოდნელ კანდიდატებს ან რწმუნებულებს აპატიმრებდნენ, პირდაპირ არ ამბობდნენ მიზეზს და სხვა რამეს იგონებდნენ ხოლმე. ეხლა კი, როგორც გაზეთები გვამცნევენ, საჭიროდ აღარ სთვლიან ტყუილის მოგონებას: იყო მაგალითი, რომ გლეხთა მიერ არჩეული რწმუნებულნი დაიპატიმრეს მარტო იმისთვის, რომ ბიუროკრატიის რწმუნებულებად არ მიაჩნდა.

ამ რეპრესსიების მიუხედავად, არჩევნები მაინც სწარმოებს. თუმცა არჩევნებში მცხოვრებთა მცირედი ნაწილი იღებს მონაწილეობას, მაგრამ აქედანაც სჩანს, რა სურს რუსეთის უმრავლესობას, ვის ემხრობა იგი, ვისკენ არის იმისი სიმპატია. ამგვარად მოწყობილ არჩევნებს, მეტადრე მას შემდეგ, რაც კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიისაც კი აუკრძალეს კრებები, რასაკვირველია, კარგი არა მოჰყვებოდა რა და თვით კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის გამარჯვებაზე ლაპარაკი და ფიქრიც სიგიჟედ უნდა ჩაგვეთვალა. მაგრამ, როგორც ეხლა გამოირკვა, მოლოდინი სავსებით არ გამართლდა. ბევრგან, ძლიერ ბევრგან პროგრესსიულმა პარტიებმა გაიმარჯვეს. ამით ხალხმა დაგვანახვა, რომ იგი თანაუგრძნობს პროგრესსიულ რეფორმებს. მოვიყვანოთ მაგალითები:

პეტერბურგის გუბერნიაში არჩევნები ყველა მაზრაში მოხდა და, როგორც კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის გაუგია, სამ მაზრაში პროგრესსიულ ელემენტებს გაუმარჯვნიათ. დანარჩენ მაზრათაგან ერთმა ბოიკოტი გამოუცხადა სახელმწიფო სათათბიროს. განაპირა ქალაქებიდან, როგორც, მაგალითად, ოდესსასა, სევასტოპოლსა და სხვაგან, გამუდმებით იწერებიან, რომ გამარჯვების შანსი მხოლოდ კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიასა აქვსო. იქ, სადაც უკვე მომხდარა არჩევნები, აღნიშნულ პარტიას გაუმარჯვნია. შიდა რუსეთის შუაგულში, როგორც, მაგალითად, მოსკოვის გუბერნიაში, უმრავლესობა რეაქციონული გამომდგარა, რადგან მთავრობა იქ მეტის მხნეობით იქცეოდა. მაინც კიდევ ერთ მაზრაში იქაც კონსტიტუციონალ-დემოკრატებს გაუმარჯვნიათ. ქალაქებში მუშები უმრავლესად სოციალ-დემოკრატებს ირჩევენ: ასეთი მაგალითი იყო კიევში და კიდევ ერთ რომელღაც ქალაქში. მოსკოვშიაც მუშებს, ალბად, ამგვარივე რწმუნებული აურჩევიათ, რომ იმის სახელის გამოცხადებას ვერა ჰბედავენ, ეშინიანთ არ დააპატიმრონ.

არჩევნების მიმდინარეობას თუ დავაკვირდით, დავინახავთ, რომ ყველაზე უფრო რეაქციონული წვრილ მემამულეთა არჩევნებია. უნდა მოველოდეთ, რომ ამათ წარმომადგენელთა უმრავლესობა რეაქციონული იქნება. გლეხთა შესახებ ჯერჯერობით გადაჭრით არა ითქმის რა. უკიდურეს შემთხვევაში შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ამათი ხმები რეაქციონულ და პროგრესსიულ პარტიათა შორის თანასწორად გაიყოფება. ქალაქის არჩევნები აუცილებლად უმრავლესობას პროგრესსიულ პარტიებს მისცემს, რადგან მუშები, რომელნიც კი დასთანხმდებიან არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, პროგრესსიულ ელემენტებს აირჩევენ, ვაჭრ-მრეწველნიც უეჭველად პროგრესსიულს აირჩევენ, რაც იქიდან სჩანს, რომ სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლად ქ. ოდესის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტს აურჩევია კონსტიტ.-დემოკრატი. ყველა ამას არავითარ პრაქტიკულ მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მით უმეტეს, რომ ეს იმედები მხოლოდ მაშინ შესრულდება, თუ რამდენადმე მაინც თავისუფლება იქნება. ამ ფაქტების ძალით არც ის ითქმის, ბოიკოტის მომხრენი უნდა ვიყოთ, თუ არა; ეს არც იმას ნიშნავს, რომ ამგვარად არჩევნებით უნდა დავკმაყოფილდეთ; ის კი აუცილებელია, რომ რუსეთი პროგრესსიულ აზრებს თანაუგრძნობს, პროგრესსიულ გზაზე წასვლას ფიქრობს. თუ ასეთ შეზღუდულ პირობებში და დამახინჯებულ არჩევნების დროს ცოტაოდენი შანსი მაინც დარჩენია პროგრესსიულ იდეების გამარჯვებას, რა იქნებოდა, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნები რომ ყოფილიყო! ეხლა დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთი (გინდაც განაპირა ქვეყნებში არ ჩავთვალოთ) თანაუგრძნობს პროგრესსიულ რეფორმებს და ამ სურვილს ვერავითარი ძალა ვერ შეაცვლევინებს. ეხლა საბოლოოდ გამოირკვა რომ ზოგიერთთა აზრი—საყოველთაო და სხვა არჩევნები თვითმპყრობელობის აღდგენის მომხრე პარლამენტს მოგვცემსო, დიდი შეცდომაა. ეხლა ვიცით ისიც, როგორ გათავდება კომედია, რომელსაც ბიუროკრატია თამაშობს და რომლის მესამე მოქმედებაც 27 აპრილს დაიწყება. ვიცით ეს არა მარტო იმიტომ, რომ სათათბირო არ იქნება შავ-რაზმელთა სათათბირო, არამედ იმიტომაც, რომ კარს იქით დარჩენილი ნაწილი გამოღვიძებულ რუსეთისა არ დასთანხმდება, კარს გარედ იდგეს და ასე თუ ისე მოითხოვს იმასაც ეკითხოს რამე სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში.

ეხლა დარწმუნებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსეთი ერთხელ და სამუდამოდ გაანებებს თავს რყევას და სამუდამოდ დადგება პროგრესსის გზას.

დასავლეთ საქართველოში

ბათუმი. კაცმა რომ მოინდომოს დღევანდელ პირობებში იმისთანა კუთხის პოვნა ჩვენს ქვეყანაში, სადაც თვითნებობა და ძალმომრეობა არ იყოს გამეფებული, ყოველივე შრომა ამაოდ ჩაუვლის. სადაც მიხვალ, ყველგან ერთი და იგივე გოდება გესმის, რომ მოქალაქეობრივი ცხოვრება მოისპო და ვისაც რა აზრი ან ფანტაზია მოუვა, იმას აკეთებს. კაცის პიროვნება უმაღლეს ხარისხამდე შელახულია, ისეთ საზოგადო დაწესებულებებს, როგორიც არის ქალაქის თვითმმართველობა, თავად-აზნაურობისა და სხვა ყოველი თვით-მოქმედება ჩამორთმეული აქვთ და მიწასთან არიან გასწორებულნი.

ზემოდ თქმულის დამახასიათებელი მაგალითი ხომ ყოველმა ჩვენგანმა მრავალი იცის და ეხლა თითო-ოროლა მაგალითს ბათუმის ცხოვრებიდან გაუწყებთ.

ამას წინად ბათუმში ფოსტა გაძარცვეს ვიღაცეებმა. ფოსტის მცველთა და თავდამსხმელთა შორის ასტყდა სროლა; ქალაქის ერთმა დარაჯმა ამ სროლაში და ფოსტის გადარჩენაში მონაწილეობა მიიღო და სასიკვდილოდ დაიჭრა.

ამ ნაირად ქალაქის დარაჯი გახდა მოვალეობის მსხვერპლი და, რასაკვირველია, ქალაქის გამგეობამ თავის მოვალეობად ჩასთვალა, მოკლულ დარაჯის დასაფლავების ხარჯი თავის თავზე მიეღო. როგორც ჰხედავთ, ქალაქის გამგეობამ თავისი ვალი გადაიხადა, მაგრამ, როგორც სჩანს, ბათუმის ეხლანდელ გენერალ-გუბერნატორს ეს საკმაოდ ვერ უცვნია და ნდომებია ქალაქის დარაჯის დამარხვას მთელი ქალაქის თვით-მმართველობა დასწრებოდა. ასეთი იდუმალი სურვილი, რასაკვირველია, არც იცოდა ქალაქის გამგეობამ და კიდევაც რომ სცოდნოდა, ვალდებული არ იყო შეესრულებინა. ქალაქის დარაჯი დიდის ზარითა და ზეიმით დამარხეს. პროცესიაში მთელმა ადმინისტრაციამ მიიღო მონაწილეობა, არ დაჰკლებია ქალაქის თავიც, მაგრამ გენერალ გუბერნატორს ვასილიევს, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ეს არ უკმარებია: ერთ მშვენიერ დღეს თავისთან იხმო მთელი ქალაქის გამგეობა ქალაქის თავიდან დაწყებული მდივნამდე. გამგეობა, რასაკვირველია, წასულა. კარგა ხნის ცდის შემდეგ, გამოსულა გენერალი ვასილიევი გუბერნატორის, მის კანცელარიის მმართველის, შტაბის უფროსის და სხვათა თანხლებით და გამგეობისათვის დაახლოვებით შემდეგის სიტყვით მიუმართავს: „ამას წინად მოკლულ ქალაქის დარაჯის დასაფლავებაზე ქალაქის გამგეობამ არ ინება დასწრება; ამ გარემოებამ გამაკვირვა მით უფრო, რომ იმავე გამგეობამ დიდი მონაწილეობა მიიღო ოდესაში შემთხვევით მოკლულ ვილაც ლაბორანტის დასაფლავებაში და ზოგიერთმა შესაფერი სიტყვაც-კი წარმოსთქვა“. თქვა ეს გენერალმა ვასილიევმა, მობრუნდა და გავიდა იმ ოთახიდან, სადაც ეს ამბავი მოხდა. დარჩა სახტად ქალაქის გამგეობა, ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო და პირში ჩალა გამოვლებული და უზომოდ შეურაცხყოფილი წამოვიდა.

ადგილობრივი პოლიცია გაფაციცებით ეძებს იმ პირთ, რომელთაც წინა დროს რამე მონაწილეობა მიუღიათ ჯართან შეტაკებაში, გინდა სხვა ამ გვარ საქმეში, მაგრამ ვერაფერს გახდა. როგორც გენერალ ვასილიევის ამას წინად გამოცემულ სავალდებულო დადგენილობიდანა სჩანს, ახალი საშუალება გამოუგონიათ უსიამოვნო ხალხის შესაპყრობად—თურმე ნუ იტყვით, საკმაოა ადგილობრივმა ექიმებმა აღნიშნონ გვარი და სახელი იმ კაცებისა, რომელთაც თოფის ან რევოლვერის იარა აქვთ და შეატყობინონ პოლიციას, და თანამედროვე წესწყობილების მტერთ ხელთ იგდებენ. ეს იყო და ეს—გამოსცა გენერალ-გუბერნატორმა შესაფერი სავალდებულო დადგენილება და ეხლა ელიან—იცა, როდის ჩაგვიგდებენ ხელში წესიერების დამამხობელთაო. ერთი რამ დავიწყებიათ სავალდებულო დადგენილების ავტორთ—ექიმი ჯაშუში არ არის და ამას გარდა საექიმო ეტიკა ავალებს ავადმყოფის საიდუმლო ისე უნდა შეინახოს, როგორც მოძღვარმა აღსარებაზე ღიარებული ცოდვები. მაგრამ ვინღა დაგიდევს ეხლანდელ დროში ეტიკას და სხვა ამ გვარებს!

კაცმა რო სთქვას, ყოველივე ეს გასაკვირველიც არ არის. რას ნიშნავს ქალაქის გამგეობა, ექიმთა კორპორაციის და სხვათა შეურაცხყოფა, როცა ჩვენი დროის გენერალ-გუბერნატორები, სასამართლოს განაჩენს, ისიც სამხედროს სასამართლოს განაჩენს, გატეხილ კვერცხის ნაჭუჭად არა სთვლიან. თუ არა გჯერათ, მოისმინეთ შემდეგი: ცნობილ ივანოვის მკვლელობა ყველას კარგად მოეხსენება: არავის დავიწყებია ისიც, რომ ამ მკვლელობით ისარგებლა ერთმა ჯურის ხალხმა და კინაღამ კონფლიქტი არ შექმნეს ქართველ მართლმადიდებელთა და მაჰმადიანთა შორის. გაზეთებმა ისიც გვაუწყეს, რომ ივანოვის მკვლელობას აბრალებენ სამ კაცს, სახელდობრ—მესხიაშვილს, კეზევაძეს და ლომენიას. წარსულ თებერვლის ორს გაირჩა სამხედრო სასამართლოში ივანოვის საქმე და ბრალდებულნი სასამართლოს განჩინებით ივანოვის მკვლელობაში უდანაშაულონი აღმოჩნდნენ. სხვათა შორის, ისიც გამოაშკარავდა, რომ ერთი ბრალდებული, მესხიაშვილი, ერთის თვალით მთლად ბრმა აღმოჩნდა და მეორე თვალით-კი ოდნავ ხედავს თურმე. გამართლებული ხალხი ამ განაჩენის შემდეგ მიუთმენლად მოელის თურმე განთავისუფლებას და აგერ თვეზე მეტია უცდიან ამ სანეტარო დროს. ეს ცდა იმითი გათავდა, რომ სასამართლოს მიერ გამართლებული ხალხი ადმინისტრატიულის წესით იგზავნება თურმე შორეულ ქვეყნებში. ძალაუნებურად იბადება შემდეგი კითხვა—რა საჭირო იყო სამხედრო სამართალში მიცემა ამ კაცებისა, როდესაც გენერალ-გუბერნატორს თავის განსაკუთრებული აზრი ჰქონია ამ საქმეზე?

ასეთ მოქმედების მაგალითს ბევრს მოგახსენებდით, მაგრამ დღეს უკანონობას და თვითნებობას ისეთი ფართო ასპარეზი აქვს მოპოვებული, რომ ვეღარაფრით გაგაკვირვებთ. **სალი.**

ახალი ამბავი

◆ **დაწვა ადამიანებისა.** ქონებასთან ერთად ზემო-იმერეთში სწვავენ ცოცხალ ადამიანებსაც. როგორც ჭიათურიდან გვატყობინებენ, 8 მარტს ცეცხლი გაუჩინეს ს. პერევისაში მცხოვრებ ვანო მოდებაძის სახლს. სახლთან ერთად დაიწვა ორი მეურმე მუმლაძე. იაკობ ანდრიაძე მუმლაძე ფერფლად აქცია, ხოლო მეორე—ნახევრად დამწვარი გამოათრიეს. მორჩენა ყოვლად შეუძლებელია.

◆ **ყაზახის მოკვლა.** კვირას, 12 მარტს ღამის $11^1/_2$ საათზე ვიღაცამ მოჰკლა პოლტავის ყაზახთა პოლკის უფროსი ურიადნიკი იგნატ ტკაჩი. ღამ-ღამობით მთავრობის განკარგულებით ყაზახებს ყაზარმებიდან არ უშვებენ. ტკაჩი გამოსულა უფროსის ნებართვით, რადგან უნდოდა თურმე ცოლის ნახვა, რომელიც ამ დღეებში ჩამოსულა რუსეთიდან. დაჭრილი, ჯერ კიდევ ცოცხალი ყაზახი, პოლიციელებს $11^1/_2$ საათზე უნახავთ რუსის ქუჩაზე, იარმუკაში, სომეხთა ეკლესიის სახლის წინ. ყაზახი სულსა ლევდა თურმე. ამის გამო პოლიციელებს იმისაგან ვერაფერი გაუგიათ. ყაზახი დაჭრილი აღმოჩნდა ხანჯლით მუცელში ისე ძლიერ, რომ წელები გადმოვარდნილი ჰქონია. ხანჯლის ქარქაში ყაზახს თავს ქვეშ სდებია, ხოლო თვით ხანჯალი და ბოხოხი ქუდი ვიღაცას წაეღო როგორც ეტყობა, ყაზახს ვიღაცასთან ჩხუბი მოსვლია. როგორც ეტყობა, ბრძოლა ჰქონიათ, რადგან მოკლულ ყაზახს მარცხენა ხელის ოთხივე თითი შეჭრილი აქვს. ეს ამბავი პოლიციელებს უფროსებისათვის უცნობებიათ და მალე პოლიცმეისტერი, ბოქაული და სხვანი მოსულან. ნამდვილად არ არის ჯერ გამორკვეული, ვინ ან რისთვის მოჰკლა ყაზახი. გუშინ, 13 მარტს, ხანჯალი და ქუდი პოლიციელებმა ნახეს კონსისტორიის ქუჩაზე პოტებნიას სახლთან. გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა ბოქაულს გამოიძიოს ეს მკვლელობა.

◆ **აგრარული მოძრაობა.** როგორც გავიგეთ, ტფილისისა, ქართლისა და იმერეთის გენერალ-გუბერნატორებს მოსვლიათ შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობა. მინისტრი ატყობინებს, მოსალოდნელია გაზაფხულზე ძლიერი აგრარული მოძრაობა დაიწყოსო, ამიტომ წინადადებას აძლევს მიიღონ შესაფერი ზომები ამ მოძრაობის ჩასაქრობად. მინისტრი ავალებს, გააძლიერონ საერობო საპოლიციო რაზმები, რომელნიც დაეხმარებიან დასამშვიდებლად გაგზავნილ ჯარს.

◆ **მოჰკლეს.** როგორც სოფ. ხცისიდან (ქართლი) გვატყობინებენ, 13 მარტს, ღამე თავის სახლში მოუკლავთ თავ. თომა ციციშვილის ბავშვების აპეკუნი პეტრე სიმონის ძე გვერდწითელი. უცნობთ ოთხჯერ უსროლიათ თოფი და იქვე მოუკლავთ. სოფელში ყაზახები გაჰგზავნეს ბოქაულის მეთაურობით.

◆ **საპყრობილიდან განთავისუფლებულები.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის განკარგულებით, ქუთაისის საპყრობილიდან 12 მარტს გაანთავისუფლეს რკინის გზის მოსამსახურენი: ილია გვენცაძე, ანტონ ნიკოლსკი, გიორგი ვაშაკიძე, მიხეილ სერგაჩოვი, ნესტორ მერკვილაძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, მიხეილ კვალიაშვილი, თევდორე რიმკოვსკი, სიმონ კინწურიშვილი, ბესარიონ ქვანია, კონსტანტინე ხორინი, ივანე სტასი, გერასიმე სერაძე, ილია შუბლაძე, იპოლიტე ცაგარეიშვილი, კონსტანტინე ლაბაური, ერასტი თურზელაძე, ივანე კარპავა, ისიდორე ხურცევაძე, სპირიდონ დოლიძე, გაბრიელ მამეიშვილი, დავით შენგელია, თევდორე შენგელია და ალექსანდრე ვოლნინი.

◆ **განთავისუფლება და გაგზავნა.** 9 მარტს გორის საპყრობილიდან გაანთავისუფლეს რკინის გზის ლიანდაგის მოსამსახურენი: ვ. ნათაძე, ვ. ვასილიძე და ანტონ გიგორიშვილი. ჰგზავნიან: სტუდენტს დავით პარკაძეს—ტობოლსკის გუბერნიაში, მღვდელს ალექსი კასრაძეს და დავით ჯავახიშვილს—არხანგელსკის გუბ., მღვდელს მიხ. ინასარიძეს—ვოლოგოდსკი გუბ.

◆ **პატიმარნი.** კვირას, 12 მარტს, ქართლიდან ჩამოიყვანეს იქაურ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაპატიმრებული 12 კაცი, მათ შორის სამი მღვდელია. ყველანი მეტეხის ციხეში ჩასვეს.

◆ **აღკრძალვა დეპეშების გზავნისა.** როგორც ამბობენ, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, აღიკრძალა დეპეშებით კერძო წერილების გადაცემა. მიზეზი თურმე ის არის, რომ მთავრობა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვას მოელის.

◆ **პატრიოტული პარტია გაიყო.** როგორც გადმოგვცეს, ეგრ. პატრიოტული პარტია ორ დასად გაყოფილა. მღ. გოროდცევისა და ორიოდეს გარდა, ამ პარტიის წევრნი „17 ოქტომბრის კავშირში“ გადასულან.

◆ **ჩხრეკა.** შაბათს, 11 მარტს, ჯარი და პოლიციელნი შემოერტყნენ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს და მთელს შენობას დაუწყეს ჩხრეკა. საავადმყოფოს გარდა გაჩხრიკეს ამავე ეზოში მოთავსებული საფერშლო სკოლა, ექიმ როზენბაუმის სადგომი და სხვა. ექიმ როზენბაუმის სადგომში ექიმის შვილს უნახეს ერთი თოფი და წაიღეს, ხოლო თოფის პატრონი არ დაუჭერიათ. საავადმყოფოს ერთს მსახურს უნახეს აგრეთვე რამდენიმე პატრონა და რევოლვერი. მოსამსახურე დაიჭირეს, მაგრამ შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

◆ **სამხედრო სამართალში მიცემულნი.** პოლიციის მე-10 ნაწილში, 11 მარტს, ოთხ უცნობ კაცს და პოლიციელს ჩხუბი მოუვიდათ. პოლიციელმა განაცხადა, თოფისა და რევოლვერის წართმევა მომინდომესო. შეიპყრეს ოთხივენი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ოთხივე სამხედრო სამართალში მისცეს.

◆ **გენ.-გუბერნატორის განცხადება.** ტფ. გენ.-გუბერნატორი აცხადებს „კავკაზ“-ში: „გაზეთებში ხშირად იბეჭდება ამბები ამა თუ იმ ბოროტ-მოქმედების შესახებ და ამასთან იბეჭდება გვარებიც იმ პოლიციელთა, რომელნიც იჭერენ ბოროტ-მოქმედთ, აგრეთვე მოწმეებისა. ახლანდელ დროში ასეთ განცხადებათ მავნებლად ვთვლი და ამიტომ წინადადებას ვაძლევ ადგილობრივ რედაქტორებს, ნუ სწერენ ასეთ გვარებს და ამასთან შეამოწმონ ხოლმე ამბები“.

◆ **აფიცრის ალიხანოვის გასამართლება.** „რუსკ. სლოვო“-ს სიტყვით, ორენბურგის ოლქის სასამართლოში მალე გაირჩევა საქმე აფიცრის ალიხანოვისა („ძმა ვარ კავკასიაში მყოფ გენ.-გუბერნატორის ალიხანოვისა“-ო, უთქვამს), რომელსაც შემდეგი ბოროტებანი ჰბრალდება: მანჯურიიდან დაბრუნების დროს ექსპრესში ერთად ყოფილა კაპიტან სამსონოვთან და იმის ცოლთან. „ჩელიაბინსკის“ სადგურის ახლო ალიხანოვს მოუმწყვდევია სამსონოვის ცოლი „უბორნიაში“ და ძალით გაუუპატიურებია. ცოლი მივარდნილა ქმართან, ქმარს მიუწევია ალიხანოვზე, მაგრამ უკანასკნელს მოუსწრია და მოუკლავს კაპიტანი და დაუჭრია ერთი ქალი, იქვე მყოფი. ამ რიგად ალიხანოვს ბრალდება ქალის გაუპატიურება, ერთის მოკვლა და მეორეს დაჭრა.

◆ **ინჟ. შაიკევიჩი და რახმანინი.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ ინჟ. შაიკევიჩი არ მიიღებს ამიერ-კავკასიის რკინის გზას იმ დრომდის, სანამ სამხედრო წესი არ აიხსნება. როგორც გავიგეთ, გზათა სამინისტრო შეჰკითხებია კავკასიის ნამესტნიკს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟინერი რახმანინი ისევ დაბრუნდეს ამ თანამდებობაზედაო. ნამესტნიკს თანხმობა განუცხადებია. ასე რომ თუ სამხედრო წესი გააუქმეს, მაშინ ინჟინერი შაიკევიჩი და რახმანინი დარჩებიან.

◆ **სააღდგომო საჩუქარი რკინის გზის მოსამსახურეებისათვის.** როგორც სამინისტროდან ცნობა მოვიდა, 1904 წლის საჩუქარი—160,000 მანეთი რკინის გზის მოსამსახურეთ უნდა მიეცეთ სააღდგომოდ.

◆ **საარჩევნო სიები.** გადასახადთა ინსპექტორებმა უკვე დაამთავრეს სიების შედგენა იმ მდგმურებისა, რომელთაც სახელმწიფო სათათბიროში ხმის უფლება აქვთ.

◆ **ჯარის კაცის პოვნა.** მუკდენთან ბრძოლის დროს ბრძოლის ველზე დარჩენილა დაჭრილი საჩხერელი გლეხი, გვარად ქვათაძე. ჯარის უფროსს უკვე უცნობებია მისი სიკვდილი მშობლებისთვის, რომელთაც უკვე გამოუგლოვიათ თავიანთი მიცვალებული. ეხლა იმის ძმას ილიკოს წერილი მოსვლია იაპონიიდან. ატყობინებენ, რომ დაჭრილი ქვათაძე იაპონელებმა მოასულიერეს, ტყვედ წაიყვანეს და ეხლა სრულიად კარგად არისო.

◆ **თავ-დამსხმელნი.** უკვე ვწერდით, რომ ს. ტაბახმელასთან გაძარცვეს ოლბულოში მიმავალი ფოსტა, მოჰკლეს დარაჯი უშაკოვი, დასჭრეს ფოსტალიონი ინაშვილი და გაიტაცეს 11,662 მან. როგორც ეხლა გამოძიებას გამოურკვევია, ამ ამბავს თავს წასტეხია ეტლით მიმავალი აფიცერი, რომელსაც ყველაფერი ტაბახმელის დარაჯებისათვის უცნობებია. ეს უკანასკნელნი ჩასდგომიან კვალში თავდამსხმელთ და მალე ატეხილა სროლა, რომლის დროსაც მოუკლავთ ერთი კაცი, გვარად ვაშაკიძე. დანარჩენთ ფული მიუტოვებიათ და გაქცეულან. მოკლული ვაშაკიძე ფოსტალიონად იყო წინად.

◆ **თავდასხმა.** 9 მარტს, ღამე, ვიღაც ხუთი შეიარაღებული კაცი ჩაქვაში დაეცა საუფლისწულო მამულის გამგეს კორინთელს. ესროლეს, მაგრამ ტყვია არ მოხვდა. შეიპყრეს ივანე ფეშვიანიძე.

◆ **თავად-აზნაურთა მარშალი.** ერთი ნაწილი თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშლად ასახელებს მარშლადვე ნამყოფს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს.

◆ **ალიაქოთი.** არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ მცხოვრებნი ისე დაშინებულნი არიან, უბრალო რამე ერთ აურ-ზაურს გამოიწვევს ხოლმე. ხულიგანებიც ხშირად იყენებენ ხოლმე ამას. კვირას, 12 მარტს, შუაბაზარში რამდენმამე ჯიბგირმა ვიღაც გაძარცვა. ამაზე ხალხი აირია. ზოგი გაიქცა ამ ადგილიდან. ვიღაცებმა დაიძახეს, ყაზახები მოდიანო. ამავე დროს ვანქის დიდ ქუჩაზე პოლიციელმა ანდრია ივანოვმა უმიზეზოდ მარტიროსოვის სახლს თოფი ესროლა. ეს საკმაო იყო. ყველამ იქით-აქეთ მოძუძგა. იარმუკა ამ დროს სავსე იყო ხალხით. გასასყიდი ნივთებიც ბლომად ეღაგა. აი, ამ დროთი ისარგებლეს ხულიგანებმა და ჯიბგირებმა და დაიტაცეს საქონელი. პოლიციელი ივანოვი დააპატიმრეს. ივანოვს ასეთი თავხედობა პირველად არ ჩაუდენია. ამას წინადაც გაისროლა იარმუკაში თოფი და ცოტას გახდა ვანქის ქუჩაზე ერთი მეპურე არ მოჰკლა. მაშინ აპატიეს და მხოლოდ დააჯარიმეს 2 მანეთით.

◆ **განთავისუფლებულნი.** ამიერ-კავკასიის საპენსიო კასის უფროსი სარქისოვი და უფროსი აგენტი ერმოლაევი მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს. ამბობენ, ამათი სამსახურში დაბრუნება კავკასიის ნამესტნიკზეა დამოკიდებულიო.

◆ **ტრამვაი ავლაბარ-ნავთლუხში.** ტრამვაის დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ავლაბარსა და ნავთლუღისაკენ ვაგონები ერთის თვის განმავლობაში დაიწყებენ სიარულსაო.

◆ **მამულების ვაჭრობა.** ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში პროვინციის 42 ქალაქის მამულიდან შაბათს, 11 მარტს, გაიყიდა 22 მამული, რომელზედაც 227,108 მან. იყო დარჩენილი. ეს 22 მამული ბანკმა 242,566 მანეთად გაჰყიდა. დარჩა გასასყიდი 20 მამული, რომელზედაც ვალია 838,977 მან. 47 კაპ.

◆ კვირას, 12 მარტს, აკურთხეს რუსეთის სატეხნიკო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომი პუშკინის ბიბლიოთეკის სადგომის ზემო სართულში. სიტყვა წარმოსთქვა თავ. გ. ნ. ჩერქეზიშვილმა.

◆ გუშინ-წინ ტფ. სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებმა სთხოვეს ქალაქის მოურავს, მიეცეთ ხოლმე მოსწავლეთ აბანოში წასასვლელი ფული; იმ მოსწავლეებს, რომელნიც დღესასწაულებზე ვერ წავლენ, მიეცეთ სახელოსნო სასწავლებელთან უფასო სასადილო; მოსწავლეები საექსკურსიოდ გაიგზავნონ სხვა და სხვა კუთხეების გასაცნობად, როგორც აქამდე

ფელეტონი

სასოფლო-მეურნეობა და კაპიტალისტური განვითარება

VII. ევროპის მუშათა პარტიები და სასოფლო მეურნეობა.

რეაქცია დოგმატიურ შაბლონების წინააღმდეგ მარტო გერმანიაში არ გაჩნდა. ახალ მიმართულებას მიემხრნენ სხვა ქვეყნებიც. აი რას სწერს იტალიის შესახებ ლუიჯი ვინოდი ერთ ფრანგულ ჟურნალში: „აჩქარებულ დასკვნას წინ ეღობება ნამეტანი სხვა და სხვაობა ფორმებისა, რომელიც დამოკიდებულია დროისა, ადგილისა და ზნე-ჩვეულებათა ვითარებისაგან. სხვა და სხვაობა აგრარულ კონტრაქტების ფორმისა და მფლობელობის სიდიდისა გვიჩვენებს, რომ ყოვლად შეუძლებელია ერთნაირის კანონის გამონახვა, რომელმაც უნდა შეაერთოს ყველაფერი და მოსპოს ყოველნაირი ბოროტება. აგრარულ ეკონომიის პირობების შესწავლის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ არა საზოგადო თვისებებს, არამედ განსხვავებას და თავისებურობას... შეუძლებელია ერთი და იგივე პრინციპები შევუფარდოთ, ერთი და იმავე საშუალებით ავხსნათ იტალიის აგრარულ ეკონომიის ყველა ფორმა, რადგან ყველგან ერთნაირი არაა ჰავა, მორწყვის პირობები, ნიადაგი, ისტორიული ტრადიციები და ჯერ კიდევ არ გამქრალა გავლენა წინანდელ მთავრობათა. ჩვენ არ უნდა განვიმეოროთ ძველი შეცდომა, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველა სოციალური მოვლენა ერთის გზით უნდა განვითარდესო.

თავის აზრებს ვინოდი პიემონტის მაგალითით ასურათებს. პიემონტი გაყოფილია სამ ბუნებრივ ზონად და თითოეულს თავისი შინაგანი ტენდენცია აქვს. „მთიან ზონაში გამაგრებულია საგლეხო სათემო საკუთრება; არც კანონს, არც ეკონომიურ პირობების შეცვლას არა აქვს მაზე გავლენა; პირიქით, ბაზრის გაფართოვება აუცილებლად იწვევს ასოციაციის აღდგენას, ინდივიდუალურ ძალების შეერთებას“. გორაკებზე ამ გვარადვე გამაგრებული და გაძლიერებულია წვრილი კერძო საკუთრება, რომელიც ძალიან ცხოველმყოფელია და ახერხებს, შეუფარდეს ახალს სამეურნეო პირობებს. ვაკეში და დაბალ ადგილებზე კი ვითარდება მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა.

ვრცლად იკვლევს აგრარულს საკითხებს მეორე იტალიელი, ჯეროლამო გატტი. გატტი აღნიშნავს ლატიფუნდიების განვითარებას და ამბობს, რომ ლატიფუნდია არასოდეს არ ჩაითვლება მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებად; იგი ეკუთვნის მსხვილს წარმოებას მხოლოდ გარეგნულად, თავის სიდიდით და არა შინაგანის ორგანიზაციით; ლატიფუნდიაში ვერ ვხედავთ ორს თვისებას, აუცილებელს ყოველ კაპიტალისტურ წარმოებისათვის: კაპიტალის ფართო მოხმარებას და საჭირო მუშების კლასის შექმნას. ლატიფუნდიის პატრონი იჯარით აძლევს მიწას გლეხს და თვითონ არავითარ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში. ეს აიხსნება იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს საინდუსტრიო კაპიტალიზმსა და სამიწათმოქმედო კაპიტალიზმს შორის. აგრარულ კაპიტალიზმის განვითარებას აბრკოლებს აგრარულ ევოლიუციის განსაკუთრებული თვისებები. პირველად, ამბობს გატტი: უდიდეს სარგებლის მისაღებად აგრიკულტურაში საჭიროა უფრო რთული საშუალებანი, ვიდრე ინდუსტრიაში. ესა თუ ის საინდუსტრიო დარგი დამყარებულია ფიზიკის ან ქიმიის ერთ-ერთ ნაწილზე; აგრიკულტურაში-კი ერთსა და იმავე დროს საჭიროა რამდენიმე მეცნიერება—ფიზიკა (მანქანები), ქიმია (ხელოვნური სასუქი), ზოოტეხნია (მოშენება საქონლისა), ბაქტერიოლოგია (ცხოველთა და მცენარეთა ავადმყოფობა). მას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ადამიანის ხელს დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-მეურნეობის უფრო განვითარებულ დარგებშიაც. მეორე, ამასთან დამოკიდებულია ის გარემოება, რომ სასოფლო მეურნეობაში უფრო ძვირად ჯდება საწარმოვო საშუალებანი და ოპერაციები, ვიდრე ინდუსტრიაში. მაგალითად, როგორც სპეციალისტები მოწმობენ, ზემო ლომბარდიაში, რომელიც კლასიკური მხარეა ინტენსივურ კულტურისა, მიწის დღევანდელი ფასი ძლივს ჰფარავს იმ ხარჯს, რომელიც საჭიროა მიწის ღირსების დასაცავად. გატტი თავის მხრით შენიშნავს, რომ ტოსკანის მამულების ახლანდელი ღირებულება ვერ დაჰფარავს იმის მესამედსაც, რაც დახარჯულა ამ მამულების მოსავლელ-შესანახად. მესამე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწათ-მოქმედებისათვის ბუნებრივის წრის წინააღმდეგობას, რომელიც თითქმის არ არსებობს ინდუსტრიაში. ამის გამო ინდუსტრიაში წარმოება პირდაპირი და განუწყვეტელია, პირდაპირია იმიტომ, რომ ნივთიერებაში ხელოვნურის საშუალებით ვახდენთ საჭირო ცვლილებას, განუწყვეტელია იმიტომ, რომ წარმოება შეიძლება შეუჩერებლად მთელის წლის განმავლობაში. აგრიკულტურაში კი ბუნებრივი წრე ორნაირ წინააღმდეგობას გვიწევს—აქტიურს და პასსიურს; პასსიურ წინააღმდეგობას წარმოადგენს წლის დროთა ცვლა და ცხოველთა და მცენარეთა ფიზიოლოგიის კანონები, რომელთა გავლენისა გამო პურის თუ სხვა ნაყოფის მოწევა და საქონლის მოშენება შეიძლება ნელა და დროგამოშვებით. აქტიურს—წარმოადგენს სხვა და სხვა ატმოსფერული ცვლილება (სეტყვა, გვალვა, დიდი ყინვა, ქარები, წვიმები) და საქონლის და მცენარის ავადმყოფობა. გარდა ამისა, სასოფლო მეურნეობაში საჭიროა გრძელი მოსამზადებელი დრო, მაგალითად, ვენახს რომ გავაშენებთ, ხუთი-ექვსი წელიწადი უნდა ვიცადოთ, სანამ პირველ ყურძენს მივიღებდეთ; აგრეთვე ხანგრძლივ დროს, ე. ი. კაპიტალის დიდხანს გაცდენას მოითხოვს ნიადაგის გაუმჯობესება და სხ.

ამგვარ თვისებებისა გამო სასოფლო მეურნეობა ადვილად ასამოძრავებელი არ არის, ეს კი აძნელებს ბაზრის პირობებთან შეთანხმებას. მართალია, სასოფლო ნაწარმოების მოთხოვნილება უფრო მტკიცეა და მუდმივი, ვიდრე საინდუსტრიო ნაწარმოებისა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან იცვლება სოფლის ნაწარმოების ბაზარზე გამოტანაც. ახალ მიწების დამუშავებას, კარგს თუ ცუდს მოსავალს, ტრანსპორტის პირობების შეცვლას შეუძლია მთელი რევოლიუცია მოახდინოს სასოფლო ნაწარმოების ბაზარზე. ამას უნდა დავუმატოთ: 1. სოფელში კაპიტალისტს არ ეხერხება კაპიტალის მოხმარება და 2. მეურნეობა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი „რისკისაგან“. ფულიანი კაცები ყოველთვის გარბიან სოფლიდან, ქალაქს ეტანებიან, რადგან სოფელში ვერ ჰპოულობენ კულტურულ ცხოვრების პირობებს, უძნელდებათ სოფელში ყოფნა. „რისკისაგან“ უზრუნველყოფილობა დამოკიდებულია წარმოების ცვალებადობაზე, რომელზედაც გავლენა აქვს სხვადასხვა ბუნებრივ შემთხვევას.

ყველა ამ მომზადებისა გამო კაპიტალი

იურ. მგ., წარსულ წელს მოსწავლენი რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში იყვნენ. ქალაქის გამგეობა საზღვარ-გარეთაც აპირებდა გაგზავნას, მაგრამ არეულობის გამო ხელი შეეშალათ.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ მიიღო საარჩევნო სია მიწათ-მოქმედების უმთავრეს გამგეობისაგან.

◆ ბათუმის ტელეფონის გამგე უფროსი მექანიკოსი კარნატოვსკი თურქესტანის ოლქში გადაიყვანეს. ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ივანოვი საქმეების გამო პეტერბურგს მიდის.

◆ სად. კარაკლისი. 13 მარტს, მე-145 ვერსზე, როდესაც მატარებელი მიდიოდა, ლიანდაგიდან გადავარდა 17 ვაგონი, სამი დაიმტვრა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ვიღაც ბოროტგანმზრახველთ დაერღვიათ ექვსი საჟენი ლიანდაგი.

◆ მე-5—ე უბნის ბოქაულის თანაშემწე ბაბალოვი დაინიშნა მე-2—ე უბნის ბოქაულად, ხოლო მე-3 უბნის ბოქაული ბოიარსკი გადაყვანილ იქმნა ამავე თანამდებობაზე მე-10 საპოლიციო ნაწილში.

◆ სად. მიხაილოვი. 11 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, მანევრების დროს ორთქლ-მავლის ქვეშ ჩავარდა მეისრე პანჩენკო. მოეგლიჯა მარჯვენა ფეხი და თავი გაუტყდა.

◆ ამ დღეებში ვიღაც უცნობმა პირებმა სცემეს ტფ. სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ მელიქ-ალავერდიანს. ქალაქის გამგეობას ეჭვი დაებადა, რომ ეს უნდა ჩაედინოთ ზოგიერთ მოსწავლეებს, ამიტომ წინადადება მისცა მოსწავლეებს, შეკრებილიყვნენ მოსალაპარაკებლად. მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი თვით იყო მოსწავლეებთან მოსალაპარაკებლად. გამოირკვა, რომ მათგანს არავის ეს საქმე არ ჩაუდენია, ამას თანავე მოსწავლეებმა სთხოვეს თავ. ჩერქეზიშვილს, მოსწავლეთა მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება, რაც მათ აღუთქვათ.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 12 მარტი. გენერალ-გუბერნატორმა ალიხანოვმა სამსახურიდან გადააყენა სენაკის მაზრის მომრიგებელი შუამავალი „მთავრობის საწინააღმდეგო მოღვაწეობისათვის“.

თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლებად თავ. ვლ. ს. მიქელაძე და თავ. ანდრია ერისთავი. თავად დავ. ფ. მიქელაძემ კრებაზე განაცხადა, საჭიროა სენატის რევიზია გამოვითხოვოთ, რადგან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ მეტად სასტიკი, დაუმსხურებული რეპრესიები დაატყდათ თავს; სოფლები და ქალაქები გადასწვეს, მრავალი დახოცეს, ქალები გააუპატიურეს, ყველა ეს საშინელება სასტიკად და ბეჯითად გამოძიებული უნდა იქნესო. კრებამ მოიწონა თავ. მიქელაძის წინადადება და დაადგინა ყველაფერი აცნობოს ნამესტნიკს.

პეტერბურგი, 12 მარტი. გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ ვიტტე მოკლე ხანში სამსახურს თავს ანებებს და მის მაგიერ პრემიერად კოკოვცევს ჰნიშნავენო. ვიტტე ვიღაცას დაუბეზღებია ხელმწიფესთან, ერთ კამპანიაში კონსტიტუციის სადღეგრძელო დალიაო.

დურნოვომ განკარგულება მოახდინა, პოლიციამ თვალ-ყური ადევნოს იაპონიიდან დაბრუნებულ დატყვევებულ მეომართ.

გამოძიება ინიშნება იმის გამოსარკვევად, თუ რა პირობებში მოხდა შმიდტის სიკვდილით დასჯა. მიღებულია ცნობები, რომ ზოგან გაფიცვა ხდება შმიდტის დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად.

გადაწყდა საბოლოოდ, რომ პოლონეთის წარმომადგენელნიც იყვნენ სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიაში.

ხმა არის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, დურნოვო, სამსახურს თავს ანებებს.

საერო განათლების მინისტრმა, ტოლსტოიმ, განაცხადა მინისტრთა საბჭოში, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელენი იარაღს ურიგებენ ხულიგანებსო.

სენატს მრავალი საქმე აქვს გადასაწყვეტი გუბერნატორების პასუხის გებაში მიცემის შესახებ.

სენატმა განმარტა, რომ სახ. საბჭოს წევრებად აირჩევიან მხოლოდ ისინი, ვისაც [illegible] სასწავლებელი აქვთ გათავებული.

შმიდტის სურათების გაყიდვა აკრძალეს.

ლექცია ავტონომიის შესახებ

12 მარტს ტფ. საარტისტო საზოგადოების დარბაზში დიდძალ ხალხის თანადასწრებით ნაფიცმა ვექილმა გ. ბ. გვაზავამ წაიკითხა ლექცია ავტონომიის შესახებ. კონსტ.-დემოკრატიულ პარტიის ბიურომ ეს მეორედ გამართა ლექცია.

ბ-ნმა გვაზავამ თავის რეფერატის შესავალში განმარტა ტერმინი ავტონომია და აღნიშნა, რომ ყოველს ადამიანს ბუნებითი მიდრეკილება აქვს თავისუფლებისაკენ; უნდა რომ არავინ მისი წმინდათა წმინდა არ შელახოს, არ წაართვან სამშობლო ენა, ზნე-ჩვეულებანი, სარწმუნოება და სხვა. ძალ-მომრეობა კერძო პირის წინააღმდეგ აღმაშფოთებელია. მით უფრო აღმაშფოთებელია ძალ-მომრეობა მთელი ერის მიმართ, იმ ერისა, რომელსაც აქვს საკუთარი ენა, ლიტერატურა, კულტურა, ტრადიცია და სხვა. გაბატონება უცხო ენისა, უცხო ტომის მიერ შემუშავებულ კანონებისა დიდად დამაქვეითებელია სხვა ეროვნებათა. რათა ერმა თავისუფლად ამოისუნთქოს, კულტურულად განვითარდეს, საჭიროა შინაური ცხოვრება დამოუკიდებლად ჰქონდეს მოწყობილი. საუკეთესო საშუალება თითოეულ ერის განვითარებისა არის ავტონომიური თვითმმართველობაო.

შემდეგ რეფერენტმა განმარტა, რა განსხვავებაა ავტონომიასა, ფედერალიზმსა და თვითმმართველობას შორის. თვითმმართველობის შემოღების დროს, რეფერენტის აზრით, არა ხდება დეცენტრალიზაცია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა, რის გამოც ყოველი ეროვნება რჩება ისევ სახელმწიფო ენისა, კანონებისა და გამგეობის გავლენის ქვეშ. ავტონომიური წეს-წყობილება კი ახდენს დეცენტრალიზაცია და თვითეულს ერს თავის შინაურ საქმეების მოწყობის საშუალებას აძლევს. ავტონომიური ერთეული სხვა მხრივ ყველაფერში დამოკიდებულია ცენტრისაგან. ავტონომიისაგან ფედერატიული წეს-წყობილება განირჩევა იმითი, რომ ფედერატიულად შეერთებულ ერთა შორის სრული კავშირია მხოლოდ საგარეო საქმეთა გამო, ხოლო სხვა მხრივ თითოეული წევრი ფედერაციისა დამოუკიდებელია სრულიად. მთელის კავკასიის ავტონომიის განხორციელება ფაქტიურად, ბ-ნ გვაზავას აზრით, შეუძლებელია, რადგან საავტონომიო პარლამენტში ან სეიმში თავს მოიყრის ქართველი, თათარი, სომეხი, ოსი, ლეკი და სხვა. სხვადასხვაობა ენისა ხელს შეუშლი საქმის წარმოებას, მით უმეტეს რომ არჩევნები მოხდება საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით და ეს საფუძველი არჩევნებისა დეპუტატების ისეთს კომპლექტს მოგვცემს, რომელთაც თავის სამშობლო ენის გარდა არც ერთი სხვა ენა არ ეცოდინებათ. ესეც არ იყოს კავკასიის ერთის კუთხის ცხოვრების პირობები მოითხოვენ სხვას, ვიდრე მეორე კუთხისა და ამიტომ სხვადასხვაობა ინტერესისა შეუშლის აგრეთვე ხელს კავკასიის ავტონომიის განხორციელებას. ამისა და სხვა მოსაზრებათა გამო ბ-ნი გვაზავა არ შეეხო სხვა ერებს და სთქვა ჩემს მოხსენებაში უმთავრესად საქართველოს ავტონომიაზე ვილაპარაკებო. ავტორს სწამს ერთა ავტონომია. სომხებსა და სხვათ თავზე ვერ მოვახვევ ავტონომიას, თუ უნდათ, უნდა გამოსთქვან თავიანთი სურვილიო. რაც შეეხება ქართველ ერს, მისთვის ავტონომია აუცილებლად საჭიროა, რომ ხალხმა თავი დააღწიოს გამაუკუღმართებელ გამგეობას და თვით დაადგეს კულტურულ მუშაობის გზას. მთელს ერს არა ჰქონია შეძლება გამოეთქვა თავისი სურვილი იმის შესახებ, თუ როგორი თვით მმართველობა ესაჭიროება. არსებულ დაწესებულებათა უმრავლესობამ გამოსთქვა სურვილი ავტონომიურ წეს-წყობილების შემოღების შესახებ. პრესამ, გლეხობამ მიტინგებზე, თავად-აზნაურობამ, ზოგიერთ ქალაქების თვითმმართველობამ უკვე გამოსთქვეს ეს. პრესის ერთი ნაწილი ავტონომიის მოთხოვნილებაზე შორს მიდის და რუსეთის ერებისათვის ფედერატიულ წესწყობილებას თხოულობს. საქართველოს ავტონომიაც შესაძლებელია, რადგან საქართველოს ტერიტორია მჭიდროდ დასახლებულია ქართველ ერისაგან. დასავლეთ საქართველოში 99% ქართველობაა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გარდა ჯავახეთისა და ბორჩალოსა, ქართველთა ტერიტორიაზე სულ მცირე პროცენტია უცხო ტომის ხალხისაო.

მერე რეფერენტი გადავიდა კანადის ავტონომიაზე და მოკლედ დაასურათა, რა კავშირი აქვს კანადის ავტონომიას ინგლისთან. კანადას სრული თვითმმართველობა აქვს ავტონომიის სახით. ინგლისის მხრით კონტროლის გამწევი გენერალ-გუბერნატორია. საშინაო მართვა-გამგეობის საკითხებს, შემუშავებულს ხალხის წარმომადგენელთა მიერ, ინგლისი მარტო სანქციას აძლევს კონტროლს უწევს. ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოში თითქმის 15 ავტონომიაა. სწორედ ამ გვარივე ავტონომიაა ქართველთათვის საჭირო, რომ იგი გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს. რუსეთის მთავრობას საქართველოს ავტონომიაში ეყოლება ნამესტნიკი, რომელიც კონტროლს გაუწევს მართვა-გამგეობას, ისე როგორც ეხლა კანადაში გენერალ-გუბერნატორი. თუ ვინიცობა ხალხის წარმომადგენელთა და ნამესტნიკს შორის რაიმე საკითხის გამო კონფლიქტი მოხდა, მაშინ შეიძლება საქმე გადაეცეს უმაღლეს სამმართველოს, ს. ბჭოს ან სხვა ამ გვარ დაწესებულებას. როგორც სხვა, სასამართლოს უწყების დეცენტრალიზაციაც მოხდება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხისათვის. საკასაციო ინსტანცია ტფილისში უნდა იყოს. ბევრი შიშობს, ვითომ ავტონომიური წეს-წყობილება სახელმწიფოს მთლიანობის დარღვევას მოასწავებსო. ასეთი აზრი უსაფუძვლოა და ნაყოფია გაუგებრობისა, რადგან ავტონომია იგივე ფართო თვითმმართველობაა. შეცვლა მართვა-გამგეობისა და სჯულდებისა სრულებითაც არ ნიშნავს გამოყოფას. აი ეხლაც სხვა კანონებია გამოცემული განაპირა ქვეყნების შესახებ. მაშინაც ისე იქნება, ხოლო სულ სხვა ფორმით და ხალხისთვის შეღავათიან პირობებით. გარდა ამისა ავტონომია სრულიად არ მოითხოვს სახელმწიფო ენის რომელსამე კუთხიდან გაძევებას. პირიქით, რუსულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, დიდი ადგილი დაეთმობა, ხოლოდ განუთანასწორდება ადგილობრივი ენაც.

შეიძლება სთქვან, საქართველო პატარაა, 2 მილიონი ხალხი ვერ გაუძღვება საქმეებსო. მაგრამ ესეც უსაფუძვლო მოსაზრებაა. კარგად იცის ყველამ, რომ რიცხვით უფრო ცოტა ერებიც უძღვებიან თავინთ საქმეებს. ესეც არ იყოს, ათას წლობით ქართველი ერი დამოუკიდებლად სცხოვრობდა, ებრძოდა აღმოსავლეთის ხალხებს და მამაცად მოიტანა თავისუფლების დროშა წასულ საუკუნის დასაწყისამდე. მეფე ირაკლის მიერ დადებულ ხელშეკრულობით საქართველო შინაურ საქმეებში სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბიუროკრატიამ სიმართლე გადალახა. საქართველოს უფლებაც აქვს მიიღოს ავტონომია. რუსეთის საერთაშორისო ინტერესებიც ამას მოითხოვსო.

შემდეგ კ.-დემოკრატიულ პარტიის ბიუროს თავმჯდომარემ თავ. გ. თუმანოვმა 10 წუთით შესწყვიტა სხდომა. როცა ისევ განახლდა, თავმჯდომარე შეეკითხა დამსწრეთ, ვის ჰქონდა რაიმე სათქმელი რეფერატის შესახებო, ხმას არავინ იღებდა. თავმჯდომარემ განაცხადა: ძალიან კარგად მესმის, რატომ არავინ არაფერს ამბობს ამ საკითხის შესახებ. საკითხი რთულია და კიდევ ბევრი დროა საჭირო იმის გამოსარკვევად. საჭიროა, რომ ამ საკითხის შესახებ კავკასიის სხვა ხალხებმაც გამოსთქვან თავიანთი აზრი. კარგი იქნება, სომეხთა, თათართა და სხვა ერთაგანაც იკისრებდეს ვინმე ამავე საკითხზე რეფერატების წარმოდგენასაო. ის იყო კრება დახურულიყო, რომ ერთი დამსწრე შეეკითხა რეფერენტს, საქართველოს ავტონომია რამდენს ფულს გაიღებს საზოგადო სახელმწიფო საჭიროებისათვისაო. ბ-ნმა გვაზავამ უპასუხა, ამაზე ეხლა ძნელია პასუხის მიცემა: კროაციის ავტონომია, მაგალ. საერთო სახელმწიფო საქმეების საჭიროებათათვის იხდის 56% შემოსავლისას, ხოლო 44% ტოვებს შინაურ საქმეებისათვის. მე მგონია, აქაც ისე მოეწყობა საქმე. კიდევ შეეკითხნენ გვაზავას, რა საქმეები ექნება ავტონომიას გასაკეთებელიო. ბ-ნმა გვაზავამ უპასუხა: სწავლა-განათლებისა, სასამართლოსა, გზებისა, სამეურნეო განვითარებისა და მრავალი სხვა საშინაო საქმეები, რომელთაც ეხლა ყველას ვერ ჩამოვთვლითო.

ამის შემდეგ გაიმართა კამათი. იყვნენ წინააღმდეგნი ავტონომიურ თვითმმართველობისა. კამათმა თითქმის ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა.

თეატრი და მუსიკა

ქართული წარმოდგენა. („შემოსავლიანი ადგილი“, ოსტროვსკისა. ბენეფისი ვლ. მესხიშვილისა). ოსტროვსკის პიესებმა თავისი დრო მოიჭამეს. მათი მნიშვნელობა დღეს მხოლოდ ისტორიულია, როგორც წარსულ ცხოვრების დოკუმენტებისა. იქ ვერ მონახავ მსოფლიო ტიპებს, რომელთაც არ ეშინიანთ არც ჟამთა მდინარეობისა, არც ცხოვრების ცვლილებისა. სდგანან მაღლა, ანათებენ, და ყოველი საუკუნე რითიმე სარგებლობს იმათ სინათლიდან. ამიტომ ოსტროვსკის პიესების სცენაზედ წარმოდგენას ერთი გასამართლებელი საბუთი ექნება, თუ იგი აკმაყოფილებს მაყურებელთა ესტეტიურ მოთხოვნილებას. ხელოვნური გადმოცემა პიესაში დასურათებულ ტიპებისა—აი აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც ოსტროვსკის პიესები მნიშვნელობას ჰკარგავენ და არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მაყურებელზედ. მოქარება—უეჭველი შედეგია, თუ არტისტების გადმოცემა მოკლებულია ხელოვნების ნიშანწყალს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ქართულ თეატრში საზოგადოდ ხელოვნება არა ჰყვავის, კერძოდ არა სჩანდა „შემოსავლიან ადგილზედ“ მართლაც, ქართველ არტისტებისათვის ძნელია, ძნელი დასურათხატება იმისთანა ადამიანებისა, რომელნიც აღმოცენდნენ უცნობ პირობებში, რომელთა ზნე-ჩვეულება, ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა ძნელი სანახავია ჩვენს ქვეყანაში. ქართველმა არტისტმა დიდი შემოქმედებითი ნიჭი უნდა გამოიჩინოს, რომ შესძლოს ცოცხლად დაასურათხატოს ამგვარი ადამიანები.

„შემოსავლიანი ადგილი“ ნათლად გვარწმუნებს ჩვენ სიტყვების სიმართლეში. დასურათხატება უმარილო, მკრთალი იყო, თუმცა არ ითქმება, რომ ცუდი იყოო. მხოლოდ იუსოვი (ბ-ნი მესხიშვილი) ცოცხალი ადამიანი გამოვიდა სცენაზედ. სრულიად უფერულნი იყვნენ ქ-ნნი ლეჟავა და მდივანი.

ახალ რეჟისორისაგან ველოდით ახალ სიტყვას, მაგრამ მოვტყუვდით. სარეჟისსორო ნაწილი ისევ ისე კოჭლობდა, როგორც წინად. არ ვიცით, ვისი ბრალია, რომ ეს მხარე ვერა და ვერ მოეწყო ჩვენ სცენაზე. მატერიალური საშუალება, თუ არტისტების უგულობა, თუ თვით რეჟისსორის უნარიო აქ დამნაშავე. ეს კი მართალია, რომ ათასი წვრილმანი მთლად აფუჭებს ქართულ წარმოდგენაზე ილლუზიას. მაგ. პელინკა შემოდის ერთის კარებიდან და იწვევს ჩაიზე, იუროვი და კუკუშკინა მეორე კარებიდან გადიან; ტრაქტირში მოსამსახურე არღნის მომართვას ვერ ასწრობს, როცა არღანი უკვე უკრავს; ტრაქტირიდან ბელოგუბოვის სტუმრები უქუდოდ გადიან, როცა დასაკიდებელი სცენაზე მოსჩანს და როცა თვით ბელოგუბოვის ბრძანებით კამფეტებს იმის ქუდში მაყურებლების თვალწინ აწყობენ. ბევრი სხვა ნაკლი შეიძლება ჩამოვთვალოთ. უმთავრესი ნაკლი კი—დროის შესაფერი ტანთსაცმელი არ ეკვათ არტისტებს და სახლის მოწყობილობაც არ შეეფერებოდა.

პრესსა

გაზეთს „ელვას“ პოლემიკა მოსწყურებია; ალბად იმის თანამშრომლები უპოლემიკოდ მოწყენილები არიან. კვირის ნომერში ამ გაზეთის ფურცლებზე სხვათა შორის შემდეგს ვკითხულობთ:

> აირია მონასტერი. რედაქტორობის გაადვილებასთან ერთათ წერაც გაადვილდა. ვინ გინდა რომ დღეს არ მწერლობდეს და ბაზარს თავის „აზრებით“ არ ავსებდეს. ფედერალისტებმა დაადგინეს სათათბიროს ბოიკოტი, და მოუწოდეს. აი მშვენიერი დადგენილება. ყველამ იცის და ალბათ მათაც სცოდნიათ, რომ ფედერალისტებივით მცირე პარტია არსად არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს, რესპუბლიკაშიაც-კი არა, რომ თავისი სიმცირე არ გამოაშკარაოს და მით თავი არ გაიბახოს. აბა წარმოიდგინეთ, ფედერალისტები იქვეხიან, მთელი გლეხობაც ჩვენკენ არისო, ხოლო როცა არჩევანზე მივა საქმე, იგივე გლეხობა მათ აშავებს და სხვას ირჩევს. ეს, მოგეხსენებათ, ვერაფერი სასიამოვნოა. საჭიროა ბოიკოტი და კიდევაც ეს დაადგინა ამ ჭკვიანმა ხალხმა. ახლა „ცნ. ფურც.“ შეუდგა ამ დადგენილების დასაბუთებას. დასტამბა ორი უშველებელი წერილი და თქვა ერთი პატარა აზრი, სათათბირო არ ვარგაო. ეს არის ბოიკოტის დასაბუთება? რასაკვირველია არა და ამიტომ გაზეთი გვპირდება „შემდეგი იქნებაო“. სამაგიეროთ მისი მიმყოლი „პატარა გაზეთი“ გამოხტა და ერთი ვოდევილი კიდევ გამოაცხო ტფილისის სოც. დემ. მუშათა ორგანიზაციის დადგენილების შესახებ და მეთაურათ დაბეჭდა. აი რანაირათ სწერენ ამ ფედერალისტურ გაზეთში:

რასაც „პატარა გაზეთი“ სწერს ტფილისის სოციალ-დემოკრატებზე, იმის პასუხის მგებლობას ჩვენ ვერ ვკისრებთ და „ელვა“ ტყუილა სცდილობს ფედერალისტებს მოახვიოს თავზე „პატარა გაზეთის“ ლიტერატურული უზრდელობა და აზროვნების სიმჩატე. რაც შეეხება „ელვის“ განმარტებას, ფედერალისტების დადგენილების შესახებ სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის თაობაზე, „ელვას“ თამამად შეუძლიან იგი უკანვე წაიღოს, თუ დიდი მისწრაფება არა აქვს „პატარა გაზეთისებური“ ლიტერატურული ზრდილობიანობა შეითვისოს და იმით გაუმასპინძლდეს ხოლმე თავის მკითხველებს. ქართველი სოციალ-დემოკრატები ხშირად ტრაბახობდნენ დეკემბრამდე, ჩვენ ერთად-ერთი ძლიერი პარტია ვართ, სხვები ყველანი უძლურები არიან და ამიტომ ჩვენს მეტი ყველა სხვა პარტია ასეთს თუ ისეთს გადაწყვეტილებას იმიტომ ადგენენ, რომ ბურჟუაზიული გული აქვთ და არ უნდათ მათი სისუსტე გამოაშკარავდესო. დეკემბრის შემდეგ ერთ-ხანად სოციალ-დემოკრატებმა ამ შეუწყნარებელ საპოლემიკო ოინბაზობას თავი დაანებეს, მაგრამ როგორცა სჩანს მხოლოდ დროებით და ეხლა ისევ თავის ძველ მეთოდებს უბრუნდებიან. ვეჭვობთ, რომ ამ გვარის იაფ-ფასიანის არგუმენტებით „ელვამ“ მოიგოს რამე.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

10 მარტი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებათ საბირჟო კომიტეტებმა აირჩიეს: ყაზანისამ—ქალაქის საბჭოს წევრი ღვინით მოვაჭრე გარაკსინი, ნოვოროსისკისამ—ცემენტის ქარხნის დირექტორი ლიგენი, ლოძისამ—მრეწველთაგან ინჟინერი სტარჟევსკი, ვაჭართაგან—დოქტორი კონიცი, ლოძის მანუფაქტურისა და ვაჭრობის კომიტეტისაგან—ინჟინერი ჰერცი.—სამხედრო ოლქის სასამართლომ სახელმწიფო კასის პეტერბურგის განყოფილებაზე დამცემთ ჟოხოვს, კალმიკოვს, სემენოვს, ტრეტიაკოვს და კუბიცკის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, ბუროვს—20 წ. კატორგა. ჟოხოვისა, კალმიკოვისა და კუბიცკის შესახებ დაადგინეს იშუამდგომლონ სასჯელის შემცირებაზე.

სტარიცა. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს მებატონე და 3 გლეხი. ქალაქიდან აირჩიეს ვაჭარა, წევრი 17 ოქტომბრის კავშირისა.

სოლიგალიჩი. მსხვილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს ერთი ვაჭარი და ერთიც აზნაური, ორივე წევრი 17 ოქტომბრის კავშირისა.

არ ეტანება სასოფლო მეურნეობას. ძველი მარქსისტული ეკონომია შეცდომით აღიარებდა პარალელიზმს სასოფლო მეურნეობასა და ინდუსტრიას შორის. ეს პარალელიზმი სრულიად უარჰყო უკანასკნელ წლების დაკვირვებამ და თუ ვინმე კიდევ ჩასციებია მას, „პოლიტიკურ დოგმატიზმის“ და „გონებრივ ინერციის“ ბრალია. „ეკონომისტ-მარქსისტების შეცდომა ისაა, რომ როგორც ერთი იდეალი, არსებობს მათთვის ერთი მიზანი, რომლისაკენ მიისწრაფვის საზოგადოებრივ—ისტორიული განვითარება, ერთი საშუალება სწამთ ამ იდეალის განსახორციელებლად. მათის შეხედულებით, ეკონომიური ევოლუცია მიმდინარეობს ძველ ფეოდალურ ეკონომიურ წესწყობილებიდან ახლისაკენ მხოლოდ ერთის გზით—თანამედროვე კაპიტალისტურ ეკონომიკის შემწეობით. ეს მართალია ინდუსტრიის ევოლუციისათვის, მაგრამ არ არის მართალი აგრარულ ევოლიუციისათვის. უკანასკნელი ძველის ფეოდალურის წესწყობილებიდან მომავალის წესწყობილებისაკენ მიდის ორის, ერთნაირად დამოუკიდებელის, გზით: კაპიტალისტურის (კონცენტრაცია საკუთრებისა კაპიტალის შემწეობით) და კოოპერატიულით (შეერთება საკუთრებისა ასოციაციების შემწეობით“).

როგორც ვხედავთ, გატტი სავსებით ეკუთვნის მარქსიზმის ახალს, კრიტიკულ მიმართულებას. მოვუსმინოთ ახლა ამ მიმართულების მეორე წარმომადგენელს, ბელგიელ მწერალს ემილ ვანდერველდს. ერთ თავის წიგნაკში (საერთაშორისო სოციალიზმის ორმოც და ათ წელიწადის შესახებ) ვანდერველდი სწერს: „არ შეიძლება მარქსის იდეები სარწმუნოების სიმბოლოდ გადავაქციოთ და ვიფიქროთ, რომ ეს იდეები შეუცვლელი და შეურყეველია და ერთნაირად გამოსადეგება ყოველთვის და ყველგან, ყველა პირობებში. ცხოვრება ერთის ადგილზე არა დგას; საჭიროა ფორმულების გადასინჯვა, ყველაზე უფრო საჭიროა კრიტიკული განხილვა კაპიტალისტურ კონცენტრაციის კანონისა, რომლის თანახმად „ყოველმა საკუთრებამ და ყოველმა წარმოებამ აუცილებლად უნდა განვლოს სამი სტადია, ერთი მეორის შემდეგ: ინდივიდუალური, კაპიტალისტური და კოლექტივური“, მაშასადამე, წვრილმა მწარმოებლებმა უნდა დაჰკარგონ თავიანთი ინდივიდუალური საკუთრება, რომ კაპიტალისტურ განსაწმენდელის შემწეობით შევიდნენ სამოთხეში. მეორე თხზულებაში ავტორი ამბობს: „უნდა განვიხილოთ, აქვს თუ არა კაპიტალისტურ კონცენტრაციის კანონს, კანონს სოციოლოგიის სამ მდგომარეობის შესახებ—საკუთრება ინდივიდუალური, საკუთრება კაპიტალისტური და საკუთრება კოლექტივური, აქვს თუ არა ამ კანონს დაუძლეველი და აუცილებელი მნიშვნელობა?.. მართალია, თუ არა, რომ, ყოველმა მრეწველობამ უნდა განვლოს კაპიტალისტურ ევოლუციის ყველაა ფაზისები? აუცილებელია, რომ უნდა მოხდეს ექსპროპრიაცია წვრილ მესაკუთრეებისა მსხვილ კაპიტალისტების მიერ და არ შეიძლება პირდაპირი ვარდასვლა?.. ყველა ამ კითხვებზე ვანდერველდი გვიპასუხებს: არაო. მერე, განიხილავს რა ცნობებს ბელგიის შესახებ, ამას დაასკვნის: სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ბელგიაში მიწის საკუთრება უფრო და უფრო ნაწილდება და გადადის პირდაპირ მწარმოებლების ხელში: სცდება ისიც, ვისაც ჰგონია, რომ კაპიტალისტურ წარმოების ყველა დარგში წვრილი მეურნეობა ისპობა. „რასაკვირველია, თუ დანარჩენი პირობები ერთნაირია, წვრილი კულტურა მსხვილ კულტურაზე დაბლა სდგას; მაგრამ დღეს ბრძოლაა არა მარტო სხვა და სხვა სიდიდის სამეურნეო ერთეულებს შორის, არამედ ერთმანეთს ებრძვიან სხვა და სხვა ხარისხის სამეურნეო ერთეულები: ერთის მხრით შრომის ფორმა წვრილ საგლეხო მეურნეობისა (რომელიც უმთავრესად თავისსავე საჭიროებას იკმაყოფილებს), ხოლო მეორეს მხრით—საქონლის კაპიტალისტური, ექსპლოატატორული ფორმა მსხვილ მეურნეობისა. ეს ართულებს საქმეს. ერთის მხრით, შრომისა და საკუთრების შეუღლებას, კავშირს არ შეუძლიან შეავსოს განცალკევებულ შრომის ყველა დანაკლისი; მეორეს მხრით მათი ერთი მეორისაგან განშორება აქარწყლებს შეერთებულ მუშაობის ბევრს უპირატესობას.“ ავტორი ჩამოსთვლის სასოფლო მეურნეობის განსაკუთრებულ თვისებებს: კაპიტალისტურ მიწათმოქმედებას მძიმე ტვირთად აწევს რენტა; გლეხმა მესაკუთრემ კი არ იცის რენტა, იგი კმაყოფილდება მარტო თავის შრომის საღირალით და შეუძლიან უფრო იაფად გაჰყიდოს თავისი ნაწარმოები; კაპიტალისტური მეურნეობა იძულებულია, თვითონვე მიაწოდოს მიწა გლეხებს, მიამაგროს მიწაზე, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან იყოლიოს საკმაო მუშა სოფელში; მიწის მოთხოვნილების განვითარებისა გამო უფრო სასარგებლო შეიქნა წვრილი იჯარა, ან მიწის წვრილ-წვრილ ნაჭრებად გაყიდვა და სხ. და სხვა. ამიტომ, თუმცა მომავალი ეკუთვნის მსხვილ წარმოებას და წვრილი წარმოება და საკუთრება უნდა გაჰქრეს, მაგრამ ეს სრულებით იმას არა ნიშნავს, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს მსხვილი კაპიტალისტური წარმოება. „კაპიტალისტურ კულტურის უპირატესობას შეადგენს შრომის განაწილება და კაპიტალების ასოციაცია... და არავითარი დაბრკოლება არ ელობება იმას წინ, რომ ცალკე მიწის მფლობელებმა და, საზოგადოდ, დამოუკიდებელმა წვრილმა მწარმოებლებმა შეერთებით ურთიერთ სარგებლობისათვის განახორციელონ ასოციაცია კაპიტალისტებისა“.

ვანდერველდიც აღიარებს ორნაირ ტიპს ეკონომიურ ევოლიუციისას—კაპიტალისტურს და არა-კაპიტალისტურს. ის არა ფიქრობს, რომ გლეხები ჯერ უნდა გაპროლეტარდნენ და მერე მიაღწევენ უმაღლეს ფორმას. „ისინი მივლენ იქ სხვა გზით და ასცდებიან პროლეტარიზაციას, ასცდებიან, თუ შეაერთებენ თავიანთ ძალღონეს და თავიანთ თავისუფალი კოოპერაციას დაუპირდაპირებენ მსხვილ წარმოების ძალდატანებულ კოოპერაციას“. „ყოველ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, რომ რეფორმატორული პროცესი, რომელიც ხდება დღეს ჩვენს სოფლებში, გამოიწვევს ინდივიდუალურ ფორმების მოსპობას და ამხანაგურ, შეკავშირებულ კულტურის შემოღებას“. ასეთმა კულტურამ უკვე მაგრად მოიდგა ფეხი; სამიწათმოქმედო კოოპერაცია ძლიერ განვითარდა ყველგან და იგი ფაქტორია ეკონომიურ განახლებისა. ხშირად ადარებენ ერთმანეთს გლეხებს და წვრილ ხელოსნებს ან ვაჭრებს. „მაგრამ, ამბობს ვანდერველდი: მაშინ, როდესაც ხელოსნები და ვაჭრები ძალიან გულცივად ეკიდებიან ასოციაციის საქმეს და მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობას უწევენ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას,—ჩვენი გლეხობა, ჩვენი სოფლის ხალხი მეტის თანაგრძნობით და ნდობით ეპყრობა კოლექტიურ წარმოებას და უფროც ახერხებს კოოპერაციის შედგენას“.

(დასასრული იქნება)

ორენბურგი. მუშების რწმუნებულების ამორჩევამ წესიერად ჩაიარა. აირჩიეს უმეტესი მუშები.

რიბინსკი. გლეხების რწმუნებულთა კრებაზე აირჩიეს ორი გლეხი პროგრესიულის მიმართულებისა.

კოლომნა. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს თავად-აზნაურთა ახალგაზრდა წინამძღოლი, საერობო უფროსი, გამგეობის წევრი, 3 მღვდელი და 8 [illegible].

მელკარი. ქალაქმა აირჩია ქალაქის თავი და ბანკის დირექტორი. წვრილ მემამულეთა კრებაზე არჩეულ იქმნენ 30 გლეხი და ერთი მღვდელი.

კოსტრომა. ქალაქმა აირჩია 4 კადეტი და ერთი 17 ოქტომბრის კავშირის წევრი.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობით 11 მარტს სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, 8 მილიონი მანეთი მიეცეს ხაზინიდან სესხად დაზარალებულ მემამულეებს. სესხი მიიცემა 35 წლის ვადით 4 პროცენტიან წლიურად.

მოგილევი. მოგილევის მაზრაში 17 რწმუნებული აირჩიეს, როგაჩევისაში—4 აზნაური, 6 მღვდელი, ქსენძი, 9 „მეშჩანი“ და 34 გლეხი.

ყაზანი. 46 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებიდან მუშებმა აირჩიეს 30 რწმუნებული. დანარჩენმა მუშებმა უარი სთქვეს არჩევნებზე.

მარიინსკი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 12 მღვდელი და დიაკონი და გლეხი სოფ. სპასკში აირჩიეს 3 მღვდელი.

ტვერი. ფაბრიკებისა და რკინის გზის სახელოსნოებში აირჩიეს 46 რწმუნებული. მაზრის მემამულეებიდან აირჩიეს ტრუბნიკოვი, კონსერვატორი.

რიგა. ბრუნისის ფაბრიკის მუშის ბინაზე მივიდა ორი უცნობი კაცი და რევოლვერებით მოჰკლეს მუში. ფიქრობენ, რომ მოკლულზე მტერს [illegible] იმ [illegible]სათვის, რომელიც მან [illegible] მისცა.

კაზალინსკი. რადგანაც მდ. სარ-დარიამ წალეკა რკინის გზის ლიანდაგი, ამიტომ მიმოსვლა შეწყდა კაზალინსკსა და ტაშკენტს შორის.

პეტერბურგი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭომ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, მიეცეს თუ არა განაპირა ქვეყნებში მცხოვრებ რუსთ თავიანთ საკუთარი წარმომადგენელი სათათბიროსა და საბჭოში, მაგრამ საკითხი ვერ გადასწყვიტა, რადგანაც ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას.

„პეტერბურგის სააგენტო“-ს მინდობილი აცხადებს, რომ გაზეთ „ტან“-ში დაბეჭდილი სტატია, რომელშიაც მოყვანილია ტექსტი სტატს-სეკრეტარის ლამსდორფის ცირკულიარულ ცნობის ალჟეზირასის კონფერენციის შესახებ, სისწორით არ ეძლევა ამ დოკუმენტის შინაარს. ხსენებულ ცირკულიარს აზრად ჰქონდა დაერღვია ის ცნობა, ვითომც რუსეთის წარმადგენელს [illegible] კაზაბლანკაში განსაკუთრებულ საპოლიციო წესის შემოღებაზე წინააღმდეგ საფრანგეთის შეხედულებისა. ცირკულიარის მიზანი იყო, დაერწმუნებინა მთელი ქვეყნიერება იმისთვის, რომ რუსეთი სულით და გულით არის მოწადინებული კარგად დასრულდეს ალჟეზირასის კონფერენცია.

10 მარტი

პეტერბურგი. „რუს. გოსუდარსტვო“ იუწყება, სახელმწიფო შემოსავლის კასებში დღემდე 80 მილიონი ფული შემოიტანეს და კიდევ განაგრძობენ შემოტანასაო. სინოდმა დაადგინა, სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმ. საბჭოს გახსნის დღეს პარაკლისი იქმნას გადახდილი მთელის იმპერიის საკათედრო სობოროში. 13 მარტს „რუსკოე გოსუდარსტვო“ შეუდგება მიწის საქმის შესახებ სა[illegible] საქმისა და სხვა საბუთების ბეჭდვას.

ხარკოვი. დაიხურა გაზეთი „[illegible]“.

ვლადიმირ-გუბერნსკი. პერეასლავლის, სუზდალის, იურიევის, ვიაზნიკოვის, ალექსანდროვის და შუის მაზრებში ვოლოსტებმა რწმუნებულებად აირჩიეს 125 გლეხი, 60 თანამდებობის პირი და 10 მუშა.

მოსკოვი. საგუბერნიო ამომრჩეველთა რიცხვში აირჩიეს ვერეისკი მაზრაში ვოლოსტების რწმუნებულთაგან ვოლოსტის მამასახლისი, დმიტროვსკში—გლეხი, კლინსკოისაში—ვოლოსტის მამასახლისი, პოდოლსკისაში—გლეხი და სერპუხოვისაში—მამულის გამგე.

პეტერბურგი. ბანკის გამძარცველთა მოსანახავად მოსკოვში გაიგზავნა პეტერბურგის „სასისხლო პოლიციის“ უფროსი ფილიპოვი, 9 აგენტი პოლიციის დეპარტამენტისა და აგენტი გერმანის პოლიციის, დიდძალი აგენტი აცხადებს სურვილს უცხოეთიდანაც მოსვლის პრემიის გულისთვის. მთავარი უფროსი ამსტერდამის „სასისხლო პოლიციის“, რომელსაც ჰოლანდიის „[illegible]“-თა მეფეს ეძახიან.

იაროსლავი. ქალაქის კრებაზე აირჩიეს ექიმი კადეტი.

კოვნო. კოვნოს მაზრაში ამომრჩეველთა არჩევნები მოხდა. აირჩიეს ორი ლიტვინი-კათოლიკე.

რიგა. დილით მოსკოვიდან მოსულ მატარებელში დაიჭირეს ორი საეჭვო პირი, რომელთაც ყალბი პასპორტი აღმოაჩნდათ. ფიქრობენ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების გაძარცვაში.

ვლადივოსტოკი. ერთად-ერთ პორტში დაიჭირეს კომერციულ ფლოტის ორი იაპონელი მეზღვაური მათ პორტების პლანი აღმოაჩნდათ ჯიბეში.

დონის როსტოვი. სახელმწიფო სათათბიროში რწმუნებულთა არჩევამ ცუდად ჩაიარა დონის ჯარის ოლქში. აუარებელი საჩივარი წარადგინეს არჩევნების უკანონოთ წარმოებაზე.

რეჟიცა. ქალაქის მიყრუებულ ნაწილში საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს. ვერავინ ვერ შეიპყრეს.

პეტერბურგი. საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ მესამე სხდომა იყო. წევრთა უმეტესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ კრების შედგენილობა კანონიკურ პრინციპებზე უნდა დამყარდეს.

პეტერბურგი. ვაჭრობისა და მანუფაქტურის მოსკოვის განყოფილებამ სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებად აირჩია ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრად ნამყოფი ტიმირიაზევი და სავაჭრო-სამრეწველო პარტიის წევრი ოსულინსკი.

ვარშავა. პოლიციამ აღმოაჩინა არა ლეგალურ ლიტერატურის ფარული სტამბა, საწყობი რევოლვერების, პატრონებისა და წითელ დროშებისა, რევოლუციონურ წარწერებით.

ტამბოვი. ლუჟენოვსკის მკვლელ სპირიდონოვის ქალს სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. სასამართლომ დაადგინა განაჩენის დასამტკიცებლად წარდგენის დროს ეცნობოს, სადაც ჯერ არს, დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი.

რიგა. რიგიდან 10 ვერსზე ვოლოსტის სამმართველოში შევიდა 8 კაცი, შეიარაღებული ბრაუნინგებითა და მაუზერებით, იარაღი აჰყარეს ურიადნიკს და მწერალს დასწვეს ხელმწიფე-დედოფლის სურათები, ვოლოსტის წიგნები და სახელმწიფო ქაღალდები.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აირჩიეს: [illegible] თავად-აზნაურობამ—წევრი 17 ოქტომბრისტებისა, ივანენკო—უკიდურესი მემარჯვენე, მინსკის ხეტყის ბირჟის კომიტეტმა—დიუბანსკი,—კადეტი, ვლადივოსტოკის ბირჟამ—ფაბრიკანტი მერკულოვი. სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩევლებად აირჩიეს: ელეცში—21 წვრილი მემამულე, ამათში 9 მღვდელია, ერთი აზნაური, დანარჩენებში—უმეტესობა კონსერვატორები. უფაში აირჩიეს 7 აზნაური, 2 ვაჭარი, გლეხი და მღვდელი; ამათში 6 კადეტია, დანარჩენები—კონ.-მონარქისტები. ბორისოგლებსკში ქალაქის ამომრჩეველთა კრებაზე აირჩიეს ექიმი მასლოვსკი და ნოტარიუსი დოლგოვი,—ორივე პროგრესისტია. სარდობსკში წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 13 მღვდელი, ერთი ბეითალი და 3 გლეხი. ხარკოვში მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 7 მღვდელი, სამაზრო საერობო გამგეობის წევრი, საერობო უფროსი და გლეხი—ყველანი უკიდურესი მემარჯვენენი.

ბელოსტოკი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 5 პოლონელი, ქსენძი, 4 მებატონე; ვილნოში ტროცკის მაზრის მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 4 ქსენძი, გლეხი და 12 აზნაური; კალიკოვოში ვოლოსტების კრებაზე—ვოლოსტის მამასახლისი, მწერალი და ორი გლეხი. ელისავეტგრადში ამომრჩეველმა ებრაელებმა გადასწყვიტეს ხმა მისცენ კადეტებს.

რიგა. [illegible] ვოლოსტის სამმართველოზე თავდასხმისათვის 3,000 მან. დაასაჯარიმეს მთელი ვოლოსტის მცხოვრებნი.

პეტერბურგი. ხელმწიფემ მიიღო სიტყვით მოხართა რამდენისამე სოფლის გლეხობის დეპუტაციას ცარსკოე სელოში: „ძლიერ მოხარული ვარ თქვენი ნახვით. ჩემი გულწრფელი მადლობა გადაეცით ყველას, ვინც თქვენ ჩემთვის ადრესის მირთმევა მოგანდოთ. გადაეცით აგრეთვე ჩემი სიტყვები, რომ ყოველგვარ საკუთრება ხელუხლებელია და ხალხი მხოლოდ მაშინ მდიდრდება, თუ იგი დაუღალავს და ხანგრძლივ შრომას ეწევა და ამასთანვე თვითეული მათგანი დარწმუნებულია, რომ მისი ქონება ხელშეუხებელია. ჩემდა სამწუხაროდ ბევრ სოფელში გლეხებმა არეულობა მოახდინეს, ხელი შეახეს კერძო საკუთრებას და გაანადგურეს მემამულეების კარ-მიდამოები. დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ აღარ განმეორდება არაფერი ამის მაგვარი. გადაეცით აგრეთვე, რომ ვინც ასეთ ძალმომრეობის ჩადენას გაჰბედავს, იგი არამც თუ უსასტიკესად იქნება დასჯილი, არამედ მას საგლეხო ბანკი აღარ გაუწევს დახმარებას მიწის ყიდვაში. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დღეისამარათ ისეთი ერთგულნი იქნებით ჩემი, როგორც თქვენი მამები და პაპები იყვნენ.

12 მარტი

ნოვოჩერკასკი. ოლქის სასამართლოში გაარჩიეს საქმე კაზაკ ბელოვისა, რომელიც მოქრთამვას სწამებდა ოლქის ატამან ბერლადის. უკანასკნელის პასუხის გებაში მისცა ბელოვი ცრუ დასმენისათვის. 80 მოწმემ დაამტკიცა ბელოვის სიმართლე. ბელოვი გაამართლეს.—მემამულეებმა აირჩიეს: ახტირკის მაზრაში 28 გლეხი, 3 აზნაური და 3 მღვდელი, ისპასკისაში 4 გლეხი.

ბელგოროდი. აირჩიეს ქალაქის მოურავი, გიმნაზიის მასწავლებელი, სადმრთო სჯულის მასწავლებელი და რკ. გზის მემანქანე—ყველანი პროგრესისტები არიან.

ეკატერინოსლავი. გუბერნიიდან გადაასახლეს გუბერნიის საერობო გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე კარპოვი.

ბერლინი. დიდებულთა პალატა დაჟინებით ითხოვდა, დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრან პოლიტიკურათ არა საიმედო სტუდენტების მიღებას უმაღლეს სასწავლებლებში. სარწმუნოებათა მინისტრმა უპასუხა, სამოსწავლო მთავრობამ გაძევა უმაღლეს სასწავლებლებიდან ყველა არა საიმედო ელემენტი, მეტადრე რუსი სტუდენტები რომელნიც საფრანგეთსა და შვეიცარიას მიაწყდნენ. რუსეთის სტუდენტობა ითხოვს უფრო მეტის სიფრთხილით მოეპყრან მათ, მაგრამ ჯერ ამ ნიადაგზე არავითარი გართულება არ არისო. სამაგიეროთ, საამოვნებით იღებენ ინგლისელებს, სკანდინაველებს და ზოგს სამხრეთ სლავიანთა სტუდენტებს პოლიტიკური მოსაზრებით.

მოსკოვი. ბრონიცკი მაზრაში რწმუნებულებათ აირჩიეს ვოლოსტის მამასახლისი და მისიონერის თანაშემწე. კოლომენსკისაში—ვაჭარი, ვოლოკოლამსკისაში—მინის მრეწველი მიწის მუშა და რუზისაში—[illegible].

მოგილევი. მსტისლავის მაზრის კრებაზე აირჩიეს 7 მღვდელი და 49 მემამულე, ორშანსკი მაზრას, კოხანოვკაში—26 მინა მრეწველი.

იალტა. წვრილ მემამულეთა კრებებზე აირჩიეს 8 რუსი, და 88 თათარი; ნოვო-ალექსანდროვსკში—98 ქსენძი, 16 მღვდელი, 2 აზნაური, 30 გლეხი, 5 მეშჩანი, ამათ რიცხვში 16 სტაროობრიადცია.

კალუგა. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 3 აზნაური, 7 მღვდელი, 2 მოხელე, 8 მეშჩანი და 9 გლეხი.

ალეშკი. დნეპროვსკი მაზრაში მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 2 წევრი ერობისა, ფაბრიკანტი, 7 მღვდელი, 1 ვაჭარი, მეშჩანი, ორი კოლონისტი და 36 გლეხი.

კრომი. აირჩიეს 11 გლეხი, 8 მღვდელი და 4 მამასახლისი.

მოზირი. აირჩიეს 6 მეშჩანი, 3 აზნაური და 6 გლეხი.

შენკურსკი. 17 ვოლოსტში აირჩიეს 6 კონსერვატორი და 1 კადეტი.

მოსკოვი. 41 სამრეწველო დაწესებულებაში აირჩიეს მუშებისაგან 46 რწმუნებული.

პერმი. კადეტებმა სახელმწიფო სათათბიროს კანდიდატებად წამოაყენეს „პერმსკი კრაი“-ს რედაქტორი ბასულინი და საერობო ექიმი ივანოვი.

ოსტროვი. ვოლოსტების რწმუნებულებათ აირჩიეს განსაკუთრებით მცირე მიწის პატრონი გლეხები; ამათგან 22 პარტიებს გარეშე დგანან.

გომელი. ორიოლის ბანკის განყოფილებისაგან ყალბი ბარათით მიიღეს 8400 მან.

პეტერბურგი. მსტისლავის მაზრაში წვრილ მესაკუთრეთა კრებაზე აირჩიეს მოგილევის გუბერნიაში 7 მღვდელი და 49 მემამულე; სიჩევკაში—2 აზნაური, 3 მღვდელი, მეშჩანი და 19 გლეხი; ბობრუისკისაში,—მინსკის გუბერნიაში,—4 მღვდელი, 195 წვრილი მესაკუთრე, თითქმის ყველა გლეხები; იაროსლავში ზომიერის მიმართულების გლეხი, ლუგაში 2 გლეხი. ქალაქიდან მაშკინში დასახელებული არიან საერობო გამგეობის თავმჯდომარე, ოლქის სასამართლოს წევრი და მეშჩანთა სტაროსტა, ყველანი 17 ოქტომბრისტები არიან; იაროსლავის გუბერნიაში რომანოვსა და ბორისოგლებსკში აირჩიეს გამგეობის თავმჯდომარე კადეტი; ტამბოვში მორშანსკი მაზრის მემამულეებმა აირჩიეს გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები, აზნაური, გუბერნიის გამგეობის წევრი, ჩამომავლობით საპატიო მოქალაქე, ვაჭარი და მღვდელი; შაცკი მაზრაში თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წევრი გუბერნიის გამგეობისა, თავმჯდომარე სამაზრო გამგეობისა და 3 აზნაური; ლებედიანსკი მაზრაში—წინამძღოლი და მღვდელი.

ყაზანი. ჟანდარმთა სამმართველოსთან ბომბა გასკდა. ჩაიმტვრა შკაფი საქმეებისა. არავინ არ დაშავებულა. დამნაშავე მიიმალა.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლებად პეტერბურგში აირჩიეს ვაჭრებმა და მრეწველებმა გლეზმერი, პალი, რაიკინი და კაშუტინი; ქუთაისის თავად-აზნაურობამ თ. მიქელაძე და ერისთავი; ტულისაში მასლოვი, დოლგოვი და ივანოვსკი—კონსერვატორები; ორენბურგის საბირჟო კომიტეტმა ვაჭარი იუროვი; სარატოვის თავად-აზნაურობამ თ. გოლიცინი და პავლოვი; ნოვოროსიისკის საბირჟო კომიტეტმა—ნემიროვსკი—17 ოქტომბრისტი და დობროვოლსკი კადეტი; რეველის ბირჟამ დიუკე კადეტი; ლიბავისამ ინჟინერი ფრეიბერგი და კანცელსონი (ებრაელი).

მოსკოვი. საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში შეიპყრეს ორი კაცი, რომლებიც მსახურებმა მძარცველთა რიცხვში მყოფთ ამსგავსეს. დაიჭირეს აგრეთვე მესამე, რომელიც გამგეობის თავმჯდომარესთან პირის პირ მოლაპარაკებას თხოულობდა. ბევრ ბანკების მოსამსახურეებმა უარი სთქვეს შეიარაღებაზე.

რიგა. რომანოვის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრა მთელი საწყობი არა ლეგალურ ლიტერატურისა, 6 ყუთი პროკლამაციები და ერთი ფუთამდე შრიფტი. დაიჭირეს 3 კაცი.

პეტერბურგი. პეტერბურგის მაზრის მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 34 რწმუნებული; ამათგან 26 გლეხია, 2 ვაჭარი და 6 მეშჩანი. უმეტესობა პარტიის გარეშე მყოფია.

ჩიტა. უსათუოდ ტყუილია ზოგიერთ გაზეთების ცნობა გენ. რენენკამფის მოქმედების შესახებ. დღემდე მხოლოდ 18 კაცი დასაჯეს სიკვდილით და ყველანი სასამართლოს განაჩენით. რენენკამფი ადმინისტრაციულად 5 თვეზე მეტს ციხეს არ უწესებს გაროზგვით არავინ გაუროზგავს. სასამართლოს განაჩენები იმ საქმეებზე, რომელნიც რკ. გზას არ შეეხებიან, გროდეკოვს ეგზავნება დასამტკიცებლად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 მარტი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-მა გამოაქვეყნა უმაღლესი ბრძანება არჩევნების თავისუფლებისა და წესიერად წარმოების შესახებ.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება, 9 მარტს ბრძანება დაეგზავნათ ყველა გუბერნატორებს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, თუ რაიმე მიზეზების გამო არჩევნები ჩაიშალა, ხელმეორეთ დანიშნეთ ახლობელ ვადისთვისაო.

ბერლინელმა ბანკირმა მენდელსონმა აცნობა ამ ჟამად ვერავითარ ფინანსურ ოპერაციებს ვერ გავმართავ რუსეთის მთავრობასთან, სანამ ალჟეზირასის კონფერენცია არ გათავდება. თუ ეს უკანასკნელი მშვიდობიანად დაბოლოვდა, მაშინ მენდელსონი თანახმაა ითაოს ბერლინისა და საფრანგეთის კაპიტალისტთაგან სინდიკატის შედგენა და გაუხსნას რუსეთს გარეგანი სესხი ერთ მილიონ ფრანკისა.

რომი. იუწყებიან, რომ მეფე ვიქტორ—ემანუილი შეხვდება ედუარდ მეფეს სადმე ხმელთა შუა ზღვაზე მოგზაურობისას.

ლიეჟი. ლიეჟის რაიონის ნახშირის მადაროების მუშები გაფიცვით იმუქრებიან, თუ მათ სამუშაო ქირას არ მიუმატებენ.

მიტავა. ტუკუმში სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ბისენეკოს, რომელსაც მანჯურიიდან ეხლა-ხ.ნ დაბრუნებულ სამხედრო ექიმ კატერფელდის მოკვლა ედებოდა ბრალად.

სიმფეროპოლი. გუშინ დღით რომზენშტეინის ფულის სახურდავებელ კანტორაში შევარდნენ შეიარაღებული ანარქისტები, გაიტაცეს 200 მან. და მიიმალნენ.

ვლადივოსტოკი. ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან 8 მარტს ერთ-ერთ ფორტში დაატუსაღეს ორი იაპონელი მეზღვაური; მათ ფორტების პლანები აღმოაჩნდათ ჯიბეში. უსურიის რკ. გზა სულ გაჭედილია ჯარის ტრანსპორტებითა და საინტენდანტო ტვირთებით და ამიტომ აღარ აქვს საშუალება კერძო ტვირთი მიიღოს გასაგზავნად. ხარბინში 1000 მანეთამდე აძლევენ ერთ ცარიელ ვაგონში. აუარებელი საქონელი ყრია მიწაზე და ლპება პაკჰაუზის უქონლობის გამო.

ვარშავა. ციტადელში დახვრიტეს ტალიბანსკი, რომელსაც სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა პოლიციელთა მოკვლის განზრახვისთვის.—პოლიციამ აღმოაჩინა კოროლის ქუჩაზე, 100 ფუთამდე არა ლეგალური ლიტერატურა.

რიაზანი. გაძარცვეს ბოგოსლოვსკი მონასტერი. წაიღეს სკივრი 33,800 მან. ფასიან ქაღალდებით. გატაცებულ ფულის რაოდენობა არაა ჯერ გამორკვეული. ბოროტ-განმზრახველნი ვერ აღმოაჩინეს.

სამარა. ცეცხლი უკიდია სახელმწიფო არყის სახდელ ქარხანას.

ირკუტსკი. სამსახურიდან იქნა გადაყენებული ზაბაიკალის რკ. გზის უფროსი სვენტიცკი.

ვარშავა. ვისლის პირა მხარის გზების მეკასე, რომელსაც 8,000 მან. მიჰქონდა, დასჭრეს და გაძარცვეს.

მოსკოვი. პოლიცია ძლიერ მუშაობს საკრედიტო საზოგადოების გამძარცველთა აღმოჩენაზე. ბევრ კვალს მიაგნო, მაგრამ ისეთი რამ ხელ მოსაჭიდებელი ვერ უპოვნია.

12 მარტი.

პეტერბურგი. იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პოლონეთის რკ. გზებზე საქმის წარმოებაში პოლონურ ენის შემოღების საკითხის გადაწყვეტა, მუშაობა დაასრულა, მაგრამ ვერავითარ დასკვნას ვერ დაადგა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელთ არა ჰქონიათ თავიანთ მთავრობისაგან საქმის გადაწყვეტისთვის საჭირო რწმუნებანი. გადაწყდა დაასრთან უფრო დიდი კომისია მრჩეველ ხმის უფლებით და მისი დასკვნა მინისტრთა საბჭოს გადასცენ საბოლოო მსჯავრის დასადებად.

„სლოვო“-ს სიტყვით, იმ პროექტით, რომლითაც 6 ადგილობრივ რკ. გზ. სამმართველო უნდა გაუქმდეს, შტატს გარეშე 240 უფროსი რჩება. დიდ მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება არ იქნება საჭირო, რადგანაც მათი მუშაობა, უმთავრესად, გადასატან ტვირთის რაოდენობაზეა დამოკიდებული.

„რუს“-ი იუწყება, ესაა ეხლა მივიღეთ ცნობა ჰელსინგფორსიდან, რომ შაბათს პეტერბურგიდან უნდა წამოსულიყო 4 მატარებელი ჯარით გავსებული; ორი მატარებელი ჰელსინგფორსისთვისაა დანიშნული 2-იც აბოსთვისო.

„ნაშა ჟიზნ“-ის სიტყვით გრაფ ვიტტეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობა აქვს აზრათ, რადგანაც გრაფ სოლსკი თავს ანებებს სამსახურს ღრმა მოხუცებულობის გამო. მეორე მხრით ვიტტეს მოწინააღმდეგენი საბჭოს თავმჯდომარეთ ასახელებენ სახელ. საბჭოს უხუცესს წევრს ფრიშს, მაგრამ ვიტტეს მაინც განუზრახავს გავიდეს სამსახურიდან სახელმწიფო სათათბიროს გახსნამდე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მემამულეთა საყურადღებოდ. იყიდება მიღებული შაბიამანი და გოგირდი პირველის ხარისხისა. ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, არაფელოვის სახლი, ღვინით მოვაჭრე იოსებ სოლოხინოვი. (2—107—2)

იყიდება

შეშა: თელისა, მუხისა და კუნელისა 4 არშინიანი. საჟენი 25 მ.ნ. ჩამოტანით გომის სადგურზე. წერილით მომმართეთ: Ст. Гоми, Ильѣ Николаевичу Ципамдзгварову. (2—1)

მასწავლებელთა საყურადღებოდ

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა.“ (10—414—4)

იხსნება 10 მარტიდან გოლოვინის პროსპექტზე, ცირკის გვერდით, ახალი სასტუმრო **„პურ მარილი“**, სადაც შეიძლება შოვნა ყოველ-ნაირ სასმელ საჭმლისა, ქართულ და ევროპიულ გემოვნებაზე, იქვე არის ბილლიარდი და აუზი თევზებით. სამი ბლუდი სადილი ღირს—50 კაპ. და იაფათაც.

პატივისცემით **იოსებ მუსარიძე.** (6—4)

ტფილისის ქალაქის გამგეობის

განცხადება

სახლის პატრონთა საყურადღებოდ

რადგან ბევრ ქუჩაზე, ქალაქის შუაგულშიაც-კი, ტროტუარები მეტად დაძველდა და გაფუჭდა, რის გამო წვიმის დროს წყალი იდგება; სხვა ადგილებში, ნამეტურ განაპირა ქუჩებზე, ტროტუარები არსადაა; ზოგან ტროტუარები ისე ვიწროა, რომ ორ კაცს ვერ გაუვლია ქალაქის გამგეობა ამიტომ მოაგონებს სახლის პატრონს, რომ ქალაქის საბჭომ 1905 წ. 8 ოქტომბერს გამოაქვეყნა სავალდებულო დადგენილებანი ტფილისში ტროტუარების გაკეთებისა და შენახვის შესახებ, რომლით აღნიშნულია რა სახისა და სიგანის ან რა მასალით უნდა კეთდებოდეს ტროტუარი. ამ დადგენილებათა მიღება ყოველ დღე შეიძლება გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში.

ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ სახლის პატრონნი, რომელნიც, თანახმად სავალდებულო დადგენილებათა, არ შეასწორებენ ტროტუარებს, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი და ტროტუარებიც მათ ხარჯზე იქნება შეკეთებული. (ნ. 2—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567,

გ. ხნეუკოვს. (30—15)

[illegible] „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“ ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 379.